# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 თებერვალი 2003 №23 (1794) ფასი 50 თეთრი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რატი ალექსიძე ამ ფოტოზეც კარგია და მოედანზეც არა უშავდა




# ჩივაძემ ზამთარში რთველი მოიწყო

## აპრილამდე ღვინის გადაღებას მოასწრებს?



ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე ჩივაძემ სანაკრებო საწნახელში გუშინ ჯერაც დაუმწიფებელი ყურძენი ჩაყარა და მოლდოვურად დაწურა. ეს საქმე მთლად კარგად ვერ გამოუვიდა და დაწურულიდან რა ღვინოც გამოუვა, ამ გაზაფხულზევე დავაჭაშნიკებთ.

ისე კი, დამწურავი ფრთხილად უნდა იყოს. გუშინვე ირლანდიამ, შვეიცარიამ და რუსეთმა თავისი ღვინოები გაიტანეს შოტლანდიაში, სლოვენიასა და კვიპროსზე და იქაურები დაათვრეს და წააქციეს. ჰოდა, გაზაფხულზე ეს გამარჯვებული სამეული რომ გვესტუმრება, ვაითუ, შევრცხვეთ.

ისე, ქართული ფეხბურთის მამები რა ხანია, წყალწყალას გვასმევენ და გასაკვირი სწორედ ის იქნება, მარტ-აპრილში ხეირიანი ღვინით თუ გაგვიმასპინძლდებიან.

# ნასული გასპარი გუშინ წავიდა



ის, რაც ორი კვირის მერე, 1 მარტს უნდა მომხდარიყო, გუშინ მოხდა. ხუან გასპარმა ასამბლეის სხდომას არ დაუცადა და „ბარსელონას" პრეზიდენტობიდან ახლავე გადადგა. ამის თაობაზე მან დირექტორატის სხდომაზე განაცხადა. შესაბამისად, კლუბის მესამე ვიცე-პრეზიდენტი ენრიკე რეინა, იმავე სხდომის გადაწყვეტილებით, დღეიდან პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

„ვფიქრობ, მოცდას აზრი არ აქვს, ჩემი 1 მარტამდე პრეზიდენტად დარჩენა „ბარსელონას" არაფერში წაადგებოდა" – ასე ახსნა გასპარმა კლუბში ახალი ერის დაწყების პროცესის დაჩქარება.




REUTERS

იტალია — პორტუგალია. ალესანდრო ნესტამ ლუიშ ფიგუ ნახტომში დაჩაგრა




REUTERS

საფრანგეთი — ჩეხეთი. ზინედინ ზიდანი ტომაშ გალაშეკს ვერ გადაახტა

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

მეოთხე ტური. 12 თებერვალი

IX ჯგუფი

სერბ. და ჩერნ. 2:2 აზერბაიჯანი

## ამხანაგური მატჩები

ტუნისი 1:0 შვედეთი
ხორვატია 0:0 პოლონეთი
ალჟირი 1:3 ბელგია
საბერძნეთი 1:0 ნორვეგია
ისრაელი 2:0 სომხეთი
თურქეთი 0:0 უკრაინა
ეგვიპტე 1:4 დანია
ჰოლანდია 1:0 არგენტინა
საფრანგეთი 0:2 ჩეხეთი
იტალია 1:0 პორტუგალია
უელსი 2:2 ბოსნია
ჩრდ. ირლანდია 0:1 ფინეთი
ინგლისი 1:3 ავსტრალია
ესპანეთი 3:1 გერმანია
ლიტვა 1:2 ლატვია
მაროკო 1:0 სენეგალი
რუმინეთი 2:1 სლოვაკეთი
მალტა 2:2 ყაზახეთი
ლიბია 2:4 კანადა
ბულგარეთი — უნგრეთი
*1:0-ზე ჩაიშალა*

### ახალგაზრდულები

უელსი — სამხრეთ კორეა 0:0; ლიბია — იტალია 0:1; ისრაელი — სომხეთი 1:1; ბულგარეთი — დანია 1:1

## პორტუგალია

თასის V ეტაპი

ფელგეირაში 1:0 მორეირენსე

## ჩვენი მეტოქეები

### ირლანდია

**შოტლანდია 0:2 ირლანდია**

0:1 კილბეინი (9), 0:2 მორისონი (17)
ირლანდია: დ. კელი (კოლგანი 80), კარი, ჰარტე, ოში (რ. დანი 80), ბრინი (ჯ. ობრაიენი 89), ჰოლანდი, რიდი (კარსლი 77), კინსელა (მელი 77), დოჰერტი (კონოლი 72), მორისონი, კილბეინი
მწვრთნელი: ბრაიან კერი
33 337 მაყურებელი

### რუსეთი

**კვიპროსი 0:1 რუსეთი**

0:1 ხოხლოვი (44)
რუსეთი: ჩიჟოვი (მანდრიკინი 46), ნიჟეგოროდოვი, ონოპკო, ევსიკოვი, კარპინი (გუსევი 64), სმერტინი, ხოხლოვი (ალდონინი 46), ლოსკოვი (ა. ბერეზუცკი 88), სოლომატინი, ბესჩასტნიხი (კირიჩენკო 46; კარიაკა 75), სიჩევი (კერჟაკოვი 46)
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
2 500 მაყურებელი

### შვეიცარია

**სლოვენია 1:5 შვეიცარია**

0:1 იაკინი (2), 0:2 ჰაასი (29), 0:3 ფრეი (36), 0:4 კაბანასი (50), 0:5 ფრეი (77), 1:5 რაკოვიჩი (78)
შვეიცარია: ცუბერბიულერი, ჰაასი, ბერნერი (რ. მაიერი 46), ანშო (კელერი 73), მიულერი, ფოგელი (სელესტინი 46), კაბანასი, ვიკი (კანტალუპი 76), ფრეი, ჰ. იაკინი, შაპუიზა (ლ. ტურე 67)
მწვრთნელი: იაკობ კუნი
3 200 მაყურებელი

## შოტლანდია

მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი 0:1 მორტონი

ასოციაციის თასი III ეტაპი. გადათამაშება

სტრანრარი — ფორფარი გადაიდო




REUTERS

შოტლანდია — ირლანდია. ნილ მაკკანის (№11) მერე სტივენ კარის გამკლავება ქართველებსაც მოუწევთ

## კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 12 თებერვალი

A ჯგუფი

ალბა 66:80 ბარსელონა
ბენეტონი 72:59 აეკ
მარკოიშვილი (ბენეტონი) 18 წუთი, 5 ქულა

ციბონა 89:83დ.დ.(76:76) სკიპერი
ეფესი 69:71 პო ორტეზი



მოლდოველთა კართან საგოლე მომენტები იშვიათად იქმნებოდა

**ამხანაგური მატჩი**

თბილისი. 12 თებერვალი. 15 საათი. ლოკომოტივი. 7 000 (ტევადობა 25 000)

## საქართველო 2:2 მოლდოვა

1:0 ჩალაძე (61), 1:1 დადუ (75), 2:1 აშვეთია (83), 2:2 დადუ (843)

1 ლომაია

მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე

2 აბრამიძე — 3 შაშიაშვილი — 5 ამისულაშვილი

9 შ. ჯიქია — 7 გოგობერიშვილი

4 დიდავა — 6 ა. სახვაძე

10 დ. მუჯირი

11 აფხაზავა — 8 ალექსიძე

11 კლეშჩენკო — 9 ფრუნზა

10 ივანოვი

7 კოვალჩუკი — 8 ოლექსიცი

3 რებეჯა — 6 ბ. ჩებოტარი

2 კოვალჩენკო — 5 კატინსუსი — 4 პუსკა

მწვრთნელი ვიქტორ პასულკო

1 ბოგდანი

შეცვლა: ლომაია – 12. ნიკურაძე (46), მუჯირი – 13. დარასელია (46), დიდავა – 15. მენთეშაშვილი (46), ჯიქია – 16. კვარაცხელია (46), აფხაზავა – 17. ჩალაძე (46), ალექსიძე – 18. აშვეთია (46), აბრამიძე – 14. ქემოკლიძე (64), კლეშჩენკო – 15. დადუ (65), ფრუნზა – 18. პაცულა (65), რებეჯა – 16. პრიგანიუკი (65), ივანოვი – 17. ბორეცი (68), ჩებოტარი – 14. გოლბანი (73)

გაფრთხილება: კვარაცხელია (49), კოვალჩენკო (51), მენთეშაშვილი (68), კოვალჩუკი (68)

მსაჯები: გ. ოგანესიანი; ა. კნიაზიანი, ა. არტოიანი (სამივე სომხეთი); ა. შალამბერიძე (საქართველო)

დელეგატი: ა. მილჩენკო (საქართველო)

ჯარიმა: 16-18; კუთხური: 5-7; კარისკენ დარტყმა: 8-4; კარში დარტყმა: 4-8; თამაშგარე: 6-4

# ჩივაძემ ყურძენი დაწურა

## მარტში ღვინოს გაგვასინჯებს შნორაკალემ, გევორქჯან!

**გიორგი დარჯანია**

**ჩემთვის** მოლდოვასთან მატჩი, თუნდაც ამხანაგური, ყველამ კარგად იცით, რასაც ნიშნავს. თამაშის ხარისხსაც და შედეგსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი ცხოვრება გამარჯვებისკენ მივისწრაფვი, ამბიცია მაქვს და ამიტომაც ვამბობ, რომ მოლდოვა ჩემთვის ბევრს ნიშნავს — თქვა ამას წინათ ალექსანდრე ჩივაძემ. გუშინდელი მატჩის შემხედვარე კი საეჭვოა, მწვრთნელს, გინდა ხარისხით და გინდა შედეგით, ამბიცია დაეკმაყოფილებინა. ისე, ცავატანემ, გევორქ ოგანესიან, უკეთილესო მსაჯო, თვალი რომ დახუჭე და ქართველთა კარში ნაღდი პენალტი არ დანიშნე, თორემ მოლდოვასთან ორჯერ დამარცხებული მწვრთნელი მესამედაც წააგებდა.

თუმცა შედეგს მაინცდამაინც ნუ გამოვეკიდებით, ჩივაძეს პირადი ანგარიში კი ჰქონდა მოლდოველებთან, მაგრამ საზოგადოდ ამხანაგური მატჩის დანიშნულება ხომ უეჭველად მოგება არ არის. ამას სჯობს ის ვთქვათ, რომ რისთვისაც ასეთი მატჩები იმართება, საქართველოს ნაკრებს გუშინდელი თამაში იმაშიც ნაკლებად წაადგა.

თავიდანვე ვიცოდით, რომ ალექსანდრე ჩივაძეს მოლდოვასთან შეხვედრა ახალბედების გამოსაცდელად უნდოდა და მოდით, გუშინდელ მატჩს ამ კუთხით შევხედოთ.

იმით დავიწყოთ, რომ თამაში მსაჯის სასტვენამდე კარგა ხნით ადრე იწყება, ანუ მაშინ, როცა გუნდი შეიკრიბება. საქართველოს ექსპერიმენტული ნაკრები მატჩის წინა დღეს შეიკრიბა და, შესაბამისად, მხოლოდ ერთხელ გავარჯიშება მოასწრო.

და რა უნდა მოასწროს გუნდმა ერთადერთ ვარჯიშზე? ალბათ, ბევრიც ვერაფერი. მაგალითად, რადომირ ანტიჩმა „ბარსელონაში“ მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე თქვა, მწვრთნელისთვის ეს დრო ძალიან ცოტაა გუნდისთვის საკუთარი ჩანაფიქრის ზედმიწევნით ასახსნელად, ფეხბურთელებისთვის კი შესასრულებლადო. ჰოდა, საქართველოს ნაკრებისთვის მით უმეტეს ძნელი იქნებოდა ერთი ვარჯიშით ამოცანის შესრულება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრებში გამოძახებულთაგან დიდ ნაწილს ერთმანეთის მხარდამხარ აქამდე არასდროს ეთამაშა. ერთი სიტყვით, გამართული ტაქტიკით თამაშსა და პარტნიორთა შეთამაშებულობაზე ფიქრი იმთავითვე განწირული იყო. სხვა რომ არაფერი, წლების მანძილზე ნაკრებში ერთი და იგივე ხალხს ვუყურებთ და მათი თამაშის ტაქტიკისა ვერაფერი გავიგეთ, არათუ გუშინდელი, პირველად შეკრებილი ექსპერიმენტული გუნდისა.

მატჩამდე გულმა რეჩხი ერთი მიზეზითაც გვიყო. იმ ერთადერთ მატჩისწინა ვარჯიშზეც მგზავრობით დაქანცულ ფეხბურთელებს ლამის ზეზეულად ეძინათ.

ყოველივე აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს კითხვა: რამდენად შეძლებდნენ მოლდოვასთან მატჩში ფეხბურთელები თავისი შესაძლებლობების ჩვენებას? ვფიქრობთ, პასუხი თავისთავად გამომდინარეობს და თუ ამ პასუხს თამაშის მიზანს დავუკავშირებთ, ცოტათი გადამეტებული მოგვეჩვენება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას კმაყოფილება, შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ჩანაფიქრი შესრულებულიაო. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, მწვრთნელს ნაკრების ძირითადი ბირთვის და ახალბედების შეთამაშებისთვის გამოეყენებინა გუშინდელი ამხანაგური დღე, როგორც ეს გერმანელებმა და ინგლისელებმა გააკეთეს.

ძირითადი ბირთვის გამოუძახებლობა რომ ვახსენეთ, შეიძლება ვინმემ თქვას, წლეულს ნაკრებს შვიდი ოფიციალური მატჩი ელის და ლეგიონერები საამხანაგოდ რომ ჩამოგვეყვანა, მათი კლუბები ფიფა-უეფას წესს დაიხვევდნენ ხელზე, რომლის თანახმადაც კლუბი ვალდებულია, შვიდჯერ გაუშვას ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში და მერე ეს ლეგიონერები ოფიციალურ მატჩს დააკლდებოდნენო.

ამ არგუმენტის საპირისპიროდ მოგახსენებთ, რომ იმ შვიდიდან ერთი — რუსეთთან მატჩი, მავანთა უთავობა რომ არა, შარშან ჩატარდებოდა, ან, ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა შარშანვე გადათამაშებულიყო. მეორე კონტრარგუმენტიც: ფედერაციაში ამტკიცებენ, ლეგიონერთა კლუბებთან ისეთი შეხმატკბილებული ურთიერთობა გვაქვს, ფეხბურთელებს მერვედაც გამოუშვებდნენო.

უშუალოდ მატჩი კი, იყო რა... საქართველოს ნაკრებისგან ამაზე უარესი თამაშიც გვახსოვს და უკეთესიც. ოღონდ ერთიცაა, მეტოქის კლასის გაუთვალისწინებლად შეფასება არ ივარგებს. მოლდოველთა კლასზე კი რა მოგახსენოთ — რაღაც დონეზე ტაქტიკური განსწავლულობა კი ეტყობოდათ (ჩვენზე მეტი), მაგრამ რამდენიმე ისეთი საგოლე მომენტი გააფუჭეს, თავადაც გაოგნებულნი დარჩნენ.

ჩვენებმა, როგორც სჩვევიათ, თამაში რიხით დაიწყეს, ორი სწრაფი იერიშით, მაგრამ რატი ალექსიძეს ორჯერვე დასრულება არ გამოუვიდა. მერე შალვა აფხაზავამ გაიბრძოლა ჯიგრიანად, დაკარგულ ბურთს ბოლომდე სდია, მაგრამ ეს შეტევაც უშედეგოდ დასრულდა.

ამის მერე, როგორც ხდება ხოლმე, ქართველ ფეხბურთელებს საწყისი ჟინი გაუნელდათ, მეტოქე კი აზრზე მოვიდა და ორჯერ ისეთი გოლი ვერ გაიტანა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. მარცხენა ფლანგზე აშკარად უსუსურად გამოიყურებოდნენ ამისულაშვილი და სახვაძე, ხოლო მარჯვნივ დიდავა. ერთ ეპიზოდში სტუმარი ფეხბურთელი დიდავაზე ორიოდე მეტრით უკან იყო და მაინც გაასწრო. მალე ფრუნზამ გააფუჭა საუკეთესო მომენტი.

გამოხდა ცოტა ხანი და ის მომენტი შეიქმნა, რისთვისაც თავში გევორქ ოგანესიანს მადლობა გადავუხადეთ. შაშიაშვილმა საკუთარ საჯარიმოში სრულიად გაუგებარი რამ გააკეთა, ჯერ ბურთი მეტოქეს გადაულოცა, მერე კი დაქაჩა და წააქცია.

ტაიმი მაინც მასპინძელთა იერიშებით დასრულდა, რომელთაგან გამორჩეული ალექსიძისა იყო, რომელმაც ბურთი ძელს გაარტყა.

პირველი ნახევრის მოკლედ შეფასება ასე შეიძლება: დაცვა ბევრს სცოდავდა და ჩვენი ბედი, რომ მეტოქეს მაღალი კლასის შემსრულებლები არ ჰყავდა. ნახევარდაცვა იოლად უშვებდა მომხვდურებს საჯარიმომდე, იერიშზე გადასვლისას კი პასს ხშირად აგვიანებდა. ფორვარდებთან სასაყვედურო თითქმის არ გვაქვს. საერთოდ კი, მონდომება არავის დაუკლია, თუმცა მარტო მონდომება რომ კმაროდეს...

და კიდევ: საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, არასდროს მიმართავს პრესინგს, რასაც საკმაოდ ეფექტურად იყენებდა გუშინ მოლდოვა.

მეორე ტაიმი პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა — თამაშის ხარისხს ვგულისხმობთ, თორემ ჩივაძემ შვიდი ფეხბურთელი შეცვალა და რაც მთავარია, ოთხი გოლი გავიდა.

ჩალაძის გოლამდე მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი სამიოდე ეპიზოდი იყო: დარასელიამ ლამის ნახევარი მოედანი გადაირბინა, დარტყმა კი საოცრად არაზუსტი გამოუვიდა. ჩალაძემ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ოთხ მცველს შორის გაძრომა მოინდომა და ბურთი დაკარგა. მართლა სახიფათო კი აშვეთიას თავური გამოდგა — ბურთი ძელს მოხვდა.

მერე ერთ ხანს შეგვეძლო წაგვეყვანილიყო და ჩალაძის გოლისას გამოვხაზლებულიყავით, რომელიც თითქოსდა არაფრისგან შეიქმნა. მასმა მეორემ ვერ ივარგა და რუსთა პირველი დივიზიონის მარშანდელმა ბომბარდირმა დადუნმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ქართველთა სიხარულმა 14 წუთს გასტანა, სტუმართა საპასუხო გოლზე კი ცოტა ვრცლად ვთქვათ. ნიკურაძის კარისკენ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. მოლდოველებმა უმარტივესი კომბინაცია გაათამაშეს — დაბალი პასი საჯარიმოს შუაგულში, იქიდან ერთი შეხებით დაბალი პასი მარჯვენა ფლანგზე, დაბალი დარტყმული კარში და გოლი. როგორ დავიჯეროთ, რომ ერთი-ორი ასეთივე მარტივი კომბინაციის დამუშავება ქართველებს არ შეუძლიათ? მოფიქრებაც არ არის საჭირო, სტანდარტული სიტუაციის გათამაშების უამრავი ვარიანტი დიდი ხანია დამუშავებულია და მხოლოდ სახელმძღვანელოში ჩახედვაა საჭირო. ჩახედვამდე კი მუდამ ასეთ შედეგს მივიღებთ: გუშინ საქართველოს ნაკრებმა ხუთი კუთხური ჩააწოდა, რომელთაგან ოთხმა ქართველ ფეხბურთელებამდეც ვერ მიაღწია, ხოლო ექვსი საჯარიმო დარტყმიდან ექვსივე მოლდოველებს მოხვდათ.

ბოლოს შვეიცარიული ამბავი განმეორდა — ჩვენებმა გაიტანეს და მყისვე საპასუხო მიიღეს. აშვეთიამ ეფექტურად, ნახევარბრუნით დაარტყა, რასაც დადუმ პენალტით უპასუხა.

კონკრეტულად ამ მატჩზე სათქმელიც სულ ეს არის, ისე კი, სალაპარაკოს რა გამოლევს. თუნდაც ის, რომ მეორე ტაიმში ტაბლო გაფუჭდა, დროს აღარ აჩვენებდა. მაგრამ ჯანდაბას, ჩაიდებ საკუთარ წამზომს ჯიბეში და ისე წახვალ სტადიონზე, მთავარია, გენერატორების მიტანა არ დაგვჭირდეს, თუმცა ამ უკულმართ ქვეყანაში რა არ შეიძლება მოხდეს.



მიხეილ აშვეთია მოედნიდან გოლით და ძელით გამოვიდა

# საქართველო — მოლდოვა მატჩის შემდეგ

## პრესკონფერენცია

*ალექსანდრე ჩივაძემ და ვიქტორ პასულკომ ერთად გადმოსერეს „ლოკომოტივის" შეყვითლებული მოედანი, საპრესკონფერენციო დარბაზშიც ერთიმეორეს მიყოლებით შემოვიდნენ. სტუმარი კარგ ხასიათზე იყო, არც მასპინძელს ეტყობოდა უგუნებობა. ჩივაძე შეკითხვებს მშვიდად პასუხობდა და ერთი-ორჯერ იხუმრა კიდეც*

*ვიქტორ პასულკო*

— ფაქტია, ფეხბურთელები არასასურველ ფორმაში არიან და ეს არც არის გასაკვირი, ისინი ხომ სეზონისთვის ახლა ემზადებიან. მიუხედავად ამისა, გულშემატკივარმა გახსნილი, სანახაობრივი ფეხბურთი იხილა. ინტერესი ბოლო წუთებამდე არ განელებულა. რაც მთავარია, მე ნათლად დავინახე ჩემი გუნდის სუსტი ადგილები.

თამაშით და შედეგით კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში ჩვენი მცველები უშეცდომოდ თამაშობდნენ, რამდენიმე საგოლე შანსიც გვქონდა, მაგრამ გავაცუდეთ.

გოლი რომ გავუშვით, მაშინვე სამარქაფოები გავიყვანე მოედანზე. გარკვეულ რისკზეც მივდიოდი, მაგრამ არ ჰქონდა მნიშვნელობა, ერთი ბურთით წავაგებდით თუ უფრო დიდი სხვაობით. ანაც რატომ არ უნდა გამერისკა, როცა თადარიგში ორი-სამი კარგი ფორვარდი მეგულებოდა.

ვიქტორ პასულკო მალევე ღიმილით და კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობა.

*ალექსანდრე ჩივაძე*

— უახლოესი რეზერვი გამოვცადეთ, უშუალოდ საქმეში ვნახეთ კანდიდატები და გარკვეული დასკვნები გამოვიტანეთ. თქვენც ნახეთ, შეცდომები ბევრი იყო, ფეხბურთელებიც შორს იყვნენ სასურველი ფორმისგან, მაგრამ თამაშმა გარკვეული დადებითი მხარეები მაინც გამოაჩინა.

დღეის შემდეგ თავდასხმაში კონკურენცია გაიზარდა. ალექსიძე, აშვეთია და ჩალაძე კარგად გაისარჯნენ. აფხაზავასაც აქვს დადებითი თვისებები და მასთან შეიძლება მუშაობა.

მეკარეებთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს, განსაკუთრებით ლომაიასთან. ნიკურაძე ერთ მომენტში კი შეცდა, მაგრამ პერსპექტიული ბიჭია და შრომაც უყვარს.

მეტს ველოდი ჯიქიასაგან და მუჯირისგან. დაცვას კი ცოტას შევაფუცხუნებ — როცა სანაკრებო დონეზე თამაშობ, ისეთი გოლი არ უნდა გაუშვა, მოლდოვამ ჯარიმის გათამაშების შემდეგ რომ გაგიტანა.

გპირდებით, ირლანდიასთან და შვეიცარიასთან ნაკრებში ყველა საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი იქნება გამოძახებული. იმედი მაქვს, ბიჭები უკეთეს ფორმაშიც იქნებიან და მოსამზადებლად დროც მეტი გვექნება.

ალექსანდრე ჩივაძე ოფიციალურ მატჩებში ბრძოლას და თავდადებასაც შეგვპირდა და ჩაფიქრებული გაგვეცალა.

**მამუკა ძგანტალიანი**



*მიხეილ აშვეთია*

— გოლი რომ გავიტანე, ვიფიქრე ახლა ნაღდად მოვიგეთ-მეთქი, მაგრამ მაშინვე გაგვითანაბრეს. სამწუხაროა, რომ გამარჯვება ხელიდან გავუშვით. მიხარია, თავი რომ გამოვიჩინე და სანაკრებო გოლი შევაგდე. იმედი მაქვს, ამის საშუალება მომავალშიც მომეცემა. ყოველთვის მზად ვარ, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო და თავი არ შევირცხვინო.

*გიორგი შაშიაშვილი*

— მეტოქე საუკეთესო შემადგენლობით გვეწვია, ჩვენ კი, ფაქტობრივად, ნაკრების სათადარიგო ფეხბურთელებით ვიყავით დაკომპლექტებული — უმეტესობას დასამტკიცებელი ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობები. ვფიქრობ, ნორმალური თამაში გამოდგა, ვიბრძოლეთ, რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ.

**— დაცვაში რომ შეცდომები იყო, ამას, რას დააბრალებდი?**

— შეუთამაშებლობას, ჩვენ ხომ ერთი დღით შევიკრიბეთ — ფეხბურთელები მგზავრობამაც მოქანცა, ორი ძალიან გულდასაწყვეტი გოლი გავუშვით. დაცვაში სათანადოდ ვერ ვაზღვევდით ერთმანეთს.

*მერაბ ჟორდანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი*

— შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ჩანაფიქრი შესრულებულია. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ამ ბიჭების გამოცდა იყო. ამიტომ მოლდოვასთან ამხანაგური მატჩი ძალიან სასარგებლო გამოდგა. მიუხედავად უარყოფითი შედეგისა, აქედანვე შემიძლია ვთქვა, რომ ოფიციალური მატჩებისთვის ამ გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი აუცილებლად გამოგვადგება. დღევანდელ მატჩსაც უფრო მეტად ეს დატვირთვა ჰქონდა.

*ალეკო გოგობერიშვილი*

— ცოტა მძიმე თამაში იყო, განსაკუთრებით პირველი ტაიმი. ჩვენ, დინამოელები სამი დღის ნამგზავრები ვიყავით და სრულფასოვნად ძალები ვერ აღვიდგინეთ. პირველ ტაიმში მოლდოველებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ. მეორე ნახევარში თამაში გამოვასწორეთ და მეტოქეზე უკეთესადაც ვითამაშეთ. ფრე ალბათ ნორმალური შედეგია, მაგრამ მოგებაც შეგვეძლო.

**— ეროვნულ ნაკრებში თამაშის წაყვანა დაგავალა მწვრთნელმა, კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ ვარ, თუმც ურიგოდ არ მითამაშია.

**— მაინც რა აკლდა დღეს გუნდის ნახევარდაცვას?**

— შეთამაშება და ურთიერთგაგება.

*არჩილ სახვაძე*

— ეროვნულ ნაკრებში ჩემი დებიუტით მხოლოდ მაშინ ვიქნებოდი კმაყოფილი, რომ მოგვეგო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორი დღე არ გვეძინა — გზაში ვიყავით, თბილისში რამდენიმე რეისით ჩამოვაღწიეთ. ბალკანეთზე კი წამოსვლამდე ზედიზედ ორი მატჩი ვითამაშეთ.

*ზურაბ მენთეშაშვილი*

— მოსაგები თამაში გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. შეცდომებმა გატანილი ორი გოლი გაგვინიავა. ჩემს თამაშზე რა გითხრათ. მწვრთნელმა რაც დამავალა, მგონი, შევასრულე. შეცვლაზე შევედი და ჩივაძემ მოლდოველთა 7 ნომრის ამოკეტვა მთხოვა. ვფიქრობ, ამ ამოცანას თავი გავართვი.

*კალერი აბრამიძე*

— შედეგით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ. ისიც სათქმელია, რომ ასეთი შემადგენლობით პირველად ვითამაშეთ და შეთამაშება გვაკლდა, ამის გამო პრობლემები შეგვექმნა, თუმც, ვფიქრობ, მოგება მაინც შეგვეძლო.

*მამია ჯიქია*

— რთული მატჩი იყო. შეუთამაშებლობამ თავისი გააკეთა. ხარვეზებიც იყო, მაგრამ საერთო ჯამში საქართველოს ნაკრების თამაშს დადებითად შევაფასებ. მოლდოველებმა კი ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. შეკრული გუნდია და ბოლომდე იბრძვის.



*დავით მუჯირი*

— მოვლენები ისე განვითარდა, რომ შვეიცარია — საქართველოს მატჩი გამახსენდა. მეტოქემ მაშინაც ხომ არ გვაცალა გოლით გახარება. საწყენია, რომ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და შეცდომები დავუშვით.

**— რისი ბრალი იყო ამდენი შეცდომა?**

— ჩემი აზრით, ეს უფრო არაორგანიზებულობის ბრალია. თან ექსპერიმენტული შემადგენლობით ვითამაშეთ და ბევრი ფეხბურთელის გუნდი ახლაც მოსამზადებელ ეტაპზეა. შედეგი ლოგიკურია. მოლდოველებმაც ხომ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს.

**— საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?**

— 45 წუთში თავის გამოჩენა ძნელია, მაგრამ ამისთვისაც მადლობელი ვარ. იმედი მაქვს, არც მომავალში დამივიწყებენ. საკუთარი თამაშით კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ. გამონაკლისი არც დღევანდელი შეხვედრაა.

*შალვა აფხაზავა*

— კმაყოფილი ნაღდად არ ვარ. მოგება შეგვეძლო, მაგრამ მეტოქემ უყურადღებობა არ გვაპატია. თანაც ბევრმა ერთმანეთის გვერდით დღეს პირველად ვითამაშეთ.

**დავით თაგართქილაძე**
**კახა ზალამბერიძე**



ვიქტორ პასულკო და ალექსანდრე ჩივაძე

# სერგეი დადუს ორი კედელი

## ზრდილმა და ყოჩაღმა მოლდოველმა გოლები მოგვიბოდიშა

*სანაკრებო დებიუტი მოიწყო მოლდოვის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა სერგეი დადუმ. მწვრთნელმა ვიქტორ პასულკომ მეორე ტაიმში მისცა შანსი, ტირასპოლის „შერიფის" თავდამსხმელს — მოედანზე ათი წუთის შესულმა გოლი გაიტანა, მერე კი პენალტით დაალონა ქართველები.*

*დადუმ მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე ჩინებული თამაშით ალოიანი მეგოლის სახელი დაიგდო. მისი ნიჭი რუსმა სპეციალისტებმაც დააფასეს. ამ ტანმაღალ და სიმპათიურ ახალგაზრდას, ჩვენებური ვაჟა თარხნიშვილის შერიფელ თანაგუნდელს გუშინ, მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ*

— გილოცავთ, დებიუტი ურიგო ნამდვილად არ ყოფილა, ორი გოლი გაიტანეთ...

— ცხადია, მიხარია, თუმც რომ მოგვეგო, ის უფრო გამიხარდებოდა. ისე, საინტერესო მატჩი გამოვიდა. უპირატესობას ძირითადად მეტოქე ფლობდა, მაგრამ არც ჩვენ დაგვიკრეფია გულზე ხელი. ალბათ დამეთანხმებით, პირველ ტაიმში მასპინძლებზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმც ვერ ვივარგეთ.

**— შესვენებისას მწვრთნელმა რა გითხრათ, ელოდით, რომ პასულკო გათამაშებდათ?**

— უფრო კლეშჩენკოსთან დუეტში თამაშზე ვფიქრობდი, მწვრთნელმა კი სწორედ მის ნაცვლად შემიშვა მინდორზე. მეორე ტაიმში დავლაგდით, ეპიზოდებში ბურთსაც ვიჭერდით და სწრაფი კონტრშეტევებიც გამოგვდიოდა. მგონი, კარგად ვითამაშეთ.

**— პირველი ბურთი კლასიკურად გათამაშებული ჯარიმის შედეგად გაიტანეთ...**

— ცხადია, ვარჯიშებზე დამუშავებული გვქონდა. ნუ გეწყინებათ და, ქართველები ამ დროს ხახამშრალნი დავტოვეთ. პრიგანიუკმა პაცულას გაუთამაშა ბურთი, მან კი გოლბანს მიაწოდა, ალექსანდრუმაც გაატარა და მეც რაღა დამრჩენოდა, იოლად შევაგდე.

**— ბევრმა შერიფელმა ითამაშეთ, მოწინააღმდეგეც ყოფილი თანაგუნდელი გყავდათ...**

— ვიცი, დათო მუჯირზე მეკითხებით. სამი წლის უნახავებმა ერთმანეთი თბილად მოვიკითხეთ. სამწუხაროდ, დიდხანს ვერ ვილაპარაკეთ. დათო ჩინებული ფეხბურთელია, პიროვნებაც არაჩვეულებრივი, „შერიფში" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. ერთს გეტყვით, ბურთს საშინელი ძალით ურტყამს. მახსოვს, ვარჯიშებისას ცოცხალ კედელში დადგომას ყველანი ვერიდებოდით.

**— ყურადღება თანამეგობრობის თასზე კარგი თამაშით მიიქციეთ, თანაც „შერიფმა" ტურნირზე გაიმარჯვა. ალბათ, მენეჯერებმა მოიწადინეს კიდეც თქვენი გადაბირება.**

— პირადად ჩემთან არავინ მოსულა, ეს არცაა ჩემი საქმე. ამ საკითხზე უპრიანია, კლუბის უფროსობას ჰკითხოთ.

**— ანუ „შერიფში" რჩებით, წასვლაზე არ გიფიქრიათ?**

— რომელი ჭკუათმყოფელი ფეხბურთელი იტყვის უარს მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშზე? ცხადია, მოვა დრო, სხვაგან ვითამაშებ. მოლდოვის ჩემპიონატით ვერ დავკმაყოფილდები. თუმც ჯერ შინაურ პირველობაზე მაქვს დასამტკიცებელი, ძალიან ახალგაზრდა ვარ.

**— მაინც რომელი ქვეყნის ჩემპიონატში ამჯობინებდით თამაშს?**

— ვერაფერს გეტყვით. იტალიის, ინგლისისა თუ ესპანეთის ლიგებში გადასვლაზე ფიქრი ახლა უაზრობაა. ტრამპლინად ალბათ უფრო რუსეთი გამოდგება.

**— დაბოლოს, „შერიფის" კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილია...**

— მართლაც რომ კაპიტანია. ვაჟა გუნდის სული და გულია. საოცრად მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნებაა. თარხნიშვილი დაცვაში გაუვალი კედელივითაა.

**გიორგი გუგაძიძე**



## ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები

### საქართველო 0:0 მოლდოვა

თბილისი. ეროვნული. 1000 (ტევადობა 70 900). 12 თებერვალი. 12 საათი

**საქართველო:** მამალაძე (ივარდავა 46), ნადირაშვილი (ი. სამხარაძე 46), ხიზანეიშვილი, სალუქვაძე (უგრეხელიძე 73), კანდელაკი, ქოქიაშვილი (ხოჯავა 82), მანწკავა (მ. ბურნაძე 68), სირაძე, ახალაია, დეკანოსიძე (ორბელაძე 61), მ. ბობოხიძე (გ. ონიანი 87)
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**მოლდოვა:** პაშენკო, რაზდოროგინი, ფასოლა, კუჩოვეი, ტოფანი, ბორდიანი, მაციური, სტავილა, პისნიკი (მოროზიუკი 88), მ. ჩებოტარი (ნამასკო 77), რადჩენკო (ჩუმაკი 82)
**სათადარიგონი:** კუბეცი, ხრამცოვი, კორნიენკოვი
**მწვრთნელი:** ალექსანდრე გუზუნი

**გაფრთხილება:** რაზდოროგინი (30), მანწკავა (39), პისნიკი (80)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა საქართველო)

**დელეგატი:** ო. გუნთაძე (საქართველო)

ჯარიმა: 13-28; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 2-4



ის მომენტია, ბურთის მაგივრად ძელს მოლდოველთა მეკარე სერგეი პაშენკო რომ მოხვდა

# რომელი საათია? ძილის დროა

## მოლდოვამ არველაძის შეგირდები არ შეამოწმებინა

**კობა ინასარიძე**

**ფეხბურთისთვის** უჩვეულო დრო — 12 საათი, სათამაშოდ უვარგისი, ოღრო-ჩოღრო მოედანი, რომელსაც აქაიქ შერჩენია ბალახი, მგზავრობით გათანგული ფეხბურთელები. ასეთ დროს, ასეთ პირობებში, გამოუძინებელი ფეხბურთელები როგორ გგონიათ, ფეხბურთს ითამაშებდნენ?

მამალაძე, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, ახალაია, ბობოხიძე, თავად განსაჯეთ, ხორვატიიდან, სადაც „დინამო“ იმყოფება მოსამზადებლად, საკმაოდ გრძელი გზით (მაკარსკა-სპლიტი-ზაგრები-ვენა-თბილისი), ღამენათევები სამშაბათს შეუერთდნენ ახალგაზრდულ ნაკრებს. სალუქვაძე, ქოქიაშვილი, სირაძე 10 თებერვალს საღამოს ათ საათზე ტრაბზონიდან თბილისისკენ ავტობუსით გამოემგზავრნენ. ზემოთჩამოთვლილებმა ძირითადში დაიწყეს, სათადარიგო შვიდიდან ხუთმა ფეხბურთელმაც იგივე მარშრუტი გამოიარა. ჰოდა, შეგვიძლია ვიკითხოთ — რა აზრი ჰქონდა მოლდოვასთან თამაშს? ვეჭვობთ, ახალგაზრდული გუნდის ახალი თავკაცები გუშინდელ შეხვედრას რომელიმე ფეხბურთელის შესაძლებლობებში დაერწმუნებინა, ერთი, სულ მარტივი მიზეზის გამო, არც ერთ ქართველს გუშინ სანაკრებო დონის შესაფერისად არ უთამაშია. რა თქმა უნდა, ჩვენებიდან ერთი-ორი ფეხბურთელის გამორჩევა კი შეიძლება, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ სხვები გამოიყურებოდნენ უსუსურად.

რევაზ არველაძემ თავის სამწვრთნელო პრაქტიკაში ბევრჯერ ნაცადი 3-5-2 სათამაშო სქემა გამოიყენა. ხიზანეიშვილ-სალუქვაძე-კანდელაკის დაცვის ხაზი, დებიუტანტი ნადირაშვილი და ქოქიაშვილი ფლანგებზე, მოედნის შუაში მანწკავა-სირაძე-დეკანოსიძე და წინ „დინამოს“ დუეტი, ბობოხიძე-ახალაია. ფიურტელი დეკანოსიძე თავდამსხმელთა პასებით მომარაგებას ცდილობდა, სირაძე კი ოდნავ უკნიდან თამაშობდა და მანწკავასთან ერთად შავ სამუშაოსაც ასრულებდა.

გუშინ განსაკუთრებით ბევრი წუნი დაცვას ჰქონდა და რომ არა სტუმართა უზუსტობა, მასპინძელთა კარი მშრალად ვერ დარჩებოდა. მოლდოველთა დაცვა-კონტრშეტევაზე აწყობილ თამაშს შესვენებამდე სამ-ოთხი ხიფათი მოჰყვა მამალაძის კართან, თუმც თავდამსხმელებმა ვერ ივარგეს. არველაძის ფლანგელი ჰავბეკები შეტევაში რომ ერთვებოდნენ, მერე უკან დაბრუნებასა და ზონის შევსებას ვეღარ ასწრებდნენ, ცენტრალურ მცველებს, ორ დინამოელს, ერთს — ლოკომოტიველს, ერთმანეთის დაზღვევა უჭირდათ, სხარტი პისნიკი კი ტანმაღალი რადჩენკოს ირგვლივ ტრიალებდა, მცველებს შორის დაძვრებოდა და მასპინძლებს პრობლემას არ აკლებდა.



გუშინ „ეროვნულზე“ ბურთის გორება ჭირდა

მატჩის დაწყებიდან ორ წუთში საქართველოს ნაკრები გოლს ორჯერ გადაურჩა. ჯერ სტავილამ, შემდეგ კი იმავე პისკინმა ნაღდი საგოლე შანსები გააცუდეს, ეს მომენტები სწორედ მცველთა დაუდევრობას მოჰყვა.

მასპინძლებმა ჩხვლეტა რომ იგრძნეს, გამოფხიზლებას 10-15 წუთი მოანდომეს, ტემპს უმატეს, თუმც ყანასავით მოედანზე ჯერ კიდევ სათანადოდ მოუმზადებელთ ბურთის დამორჩილება, სწორი პასის კეთება უჭირდათ. მოლდოველთა სიძე ახალაია აგრესიულობით სხვათათვის მისაბაძი გუშინაც იყო, ბობოხიძემ სისწრაფის ხარჯზე ერთი-ორჯერ მეტოქე კი დაჯაბნა, მაგრამ უკნიდან დახმარება აგვიანებდა და შეტევა საჯარიმოს მისადგომებს ვეღარ სცდებოდა. არადა, მოლდოველთა მეკარე პაშჩენკო მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა და შესაძლო იყო, მისი შეცდომებით ჩვენებს ერთხელ მაინც ესარგებლათ.

შესვენების შემდეგ ტრავმირებული ნადირაშვილი სამხარაძემ შეცვალა. ფლანგზე მანწკავამ გადაინაცვლა, დეკანოსიძემ უკან დაიხია, თავდამსხმელებს კი ზურგი სამხარაძემ გაუმაგრა. მასპინძლები შესამჩნევად გააქტიურდნენ. სამხარაძემ პარტნიორები აიყოლია, მარცხენა ფლანგზე ქოქიაშვილმა აუჩქარა, თუმც საქართველოს ნაკრების ერთფეროვანმა თამაშმა სტუმართ ვერაფერი დააკლო.

მთელი მატჩისას მასპინძლებს სულ ერთი რეალური საგოლე მომენტი შეექმნათ, ისიც ქართველი მსაჯისგან წამატებულ დროში. ახალაია მარჯვნიდან მცველებს რომ დაუსხლტა და საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარეს ბურთი ხელებიდან გაუვარდა, ხოჯავას ახლოდან დარტყმული კი ძელს მოხვდა. აღსანიშნავია ქოქიაშვილის შესრულებული სახიფათო ჯარიმაც, თუმც ანგარიშიდანაც ჩანს, რა გამოვიდა. არადა, ერთადერთი, როგორც თამაშისას გამოჩნდა, სწორედ დამაკმაყოფილებელ შედეგს შეეძლო ამ მატჩის ჩატარების გამართლება, თორემ სხვა მხრივ, ფეხბურთელთა შესამოწმებლად თუ გადასამოწმებლად მწვრთნელთათვის ეს შეხვედრა არ ივარგებდა.

## პრესკონფერენცია

*„ეროვნულის“ საპრესკონფერენციო ოთახში ჩასულ ჟურნალისტებს მოლდოვის ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ალექსანდრუ გუზუნი სრულ მზადყოფნაში დაგვხვდა. მალე მისი კოლეგა რევაზ არველაძეც მოვიდა და პრესკონფერენციაც დაიწყო. როგორც წესი, პირველი სიტყვა სტუმრისაა, რადგან მათ მუდამ ეჩქარებათ. თუმც გუშინ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ორივე გუნდის მწვრთნელს ეროვნული ნაკრებების შეხვედრაზე მიეჩქარებოდა*

*ალექსანდრუ გუზუნი:* მე კარგად ვიცი ქართული ფეხბურთის ისტორია, მდიდარი ტრადიციები გაქვთ და თბილისში დაძაბული, ძნელი მატჩისთვის ვემზადებოდით.

თამაში დაცვით სქემებზე ავაწყვეთ, ვცდილობდით, ჩვენს ნახევარზე მეტოქისთვის გასაქანი არ მიგვეცა, შიგადაშიგ პრესინგი გვეთამაშა და შეტევაზე დაცვიდან სწაფად გადავსულიყავით.

ზოგმა ფეხბურთელმა დავალება პირნათლად შეასრულა, ზოგიერთის მისამართით კი გარკვეული შენიშვნები გამიჩნდა, თუმც ყველაზე სასიხარულოა, რომ დღეს მოედანზე ვიხილე შეკრული გუნდი, რომელიც თავდადებით, ბოლომდე იხარჯებოდა.

სხვაგვარად არც შეიძლება, ძალიან ძლიერ შესარჩევ ჯგუფში ვთამაშობთ, წარმატების შანსებიც მცირეა, მაგრამ ჩვენთან იოლი გამარჯვებას ვერავინ მოახერხებს.

*რევაზ არველაძე:* ნაკრების დღევანდელი შემადგენლობიდან უმრავლესობის შესაძლებლობებს კარგად არც ვიცნობ. მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოვასწარით და, რა თქმა უნდა, ბიჭებამდე ჩემი ყველა ჩანაფიქრი ვერ მივიტანე. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე შეტევა მიყვარს, ფეხბურთელებისგანაც თავდადებას მოვითხოვ. ბევრი შეცდომა დავუშვით. ნაკრების წევრმა შეიძლება რაღაც არ იცოდეს, რაღაც ვერ შემისრულოს, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. მსოფლიოში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ბევრი რამ დასახვეწი აქვს. მოთამაშემ არ იცოდეს და არც მოინდომოს, ესაა ყველაზე დიდი შეცდომა.

ბიჭებმა დღეს თავდადებით ითამაშეს. ჩვენ გვექნება დრო ხარვეზების გამოსასწორებლად და პროგრესიც დაგვეტყობა.

...სადღაც ალბათ მეც შევცდი. მარჯვენა მცველი ნადირაშვილი რომ დაშავდა, მის ადგილზე მანწკავა გადავიყვანე, რომელიც მებრძოლია, თუმც დიდი სისწრაფით არ გამოირჩევა. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, უფრო ადრე გამომეყვანა ბურნაძე.

სწრაფადაც ვერ ვთამაშობდით, თუმც ნამგზავრი და გადაღლილი, თანაც ერთხელ ნავარჯიშევი გუნდი, ალბათ, მეტს ვერც მოახერხებდა.

შეუთამაშებლობაც დაღს ასვამდა ბიჭების გარჯას, მაგრამ ირლანდიასთან და შვეიცარიასთან შეხვედრებისთვის უფრო ხანგრძლივი დროით შევიკრიბებით და შეცდომებიც ნაკლები გვექნება.

**მამუკა ძგანტალიანი**



რევაზ არველაძე



ბრაიან კერის როი კინმა უარი შეუთვალა



# მართლა მშვიდობით

## როი კინი მხოლოდ მანჩესტერში ითამაშებს

*როი კინი აღარასოდეს ითამაშებს ირლანდიის ნაკრებში, რომლის კაპიტანიც ზაფხულამდე იყო და შესაბამისად, აღარც თბილისში ჩამოვა.*

**ირლანდიის** მსოფლიო კლასის ერთადერთმა მოთამაშემ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა გუშინ გამოაცხადა, რომ თავისი კლუბის მენეჯერ სერ ალექს ფერგიუსონთან და ექიმებთან საუბრის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა აღარ შეუძლია.

31 წლის კინმა წლეულს რთული ოპერაცია გადაიტანა და ახლაღა შედის ფორმაში. წინა კვირაში მას ირლანდიის ნაკრების ახალი მენეჯერი ბრაიან კერი ელაპარაკა და ნაკრებში დაბრუნება სთხოვა. კინი კერის დიდი პატივისმცემელია, მაგრამ საკითხი მაინც ღიად დატოვა, ჩემთვის ავტორიტეტულ ხალხს უნდა დავეკითხოო.

ავტორიტეტული კი, ცხადია, ფერგიუსონი გახლავთ.

კინი ამბობს, რომ მისი ეს გადაწყვეტილება უცხო ექიმთა რჩევის შედეგია და აქამდე არ ეგონა, მის ფიზიკურ მდგომარეობას ამგვარად გაფრთხილება თუ დასჭირდებოდა. ბრაიან კერიც იმედგაცრუებული დარჩა.

აქა-იქ იმასაც ამბობენ, კინს „მანჩესტერის“ მენეჯერად ამზადებენო, თუმცა, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინა დღეებში კინმა ღიად გააკრიტიკა ნაკრების მაშინდელი მენეჯერი მიკ მაკარტი, ამ უკანასკნელმა კი კაპიტანი გუნდიდან დაითხოვა. ირლანდიაში ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, კინმა კი გამოაცხადა, რომ აღარასოდეს ითამაშებდა ნაკრებში მაკარტის ხელქვეით. ზამთრის პირას მაკარტის გადადგომამ ყველას იმედი ჩაუსახა, რომ კაპიტანი გუნდს დაუბრუნდებოდა და თავად კინიც არ უარობდა.

საერთოდ კი, შარშანდელი სეზონი არეული იყო კინისთვის. „მანჩესტერმა“ ჩემპიონობა დაკარგა, თუმცა, პირადად კინმა ჩემპიონ „არსენალს“ ბდღვირი გაადინა. 1999 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში ტრავმის გამო ვერმოთამაშე კინმა თავი დადო, რათა 2002 წელს მაინც გაეღწია იქ და ნახევარფინალში საუცხოო გოლიც გაუტანა „ლევერკუზენს“, მაგრამ „მანჩესტერი“ მაინც გავარდა. მერე იყო სანაკრებო სკანდალი, მერე კი მრავალათასიანი ჯარიმა, რომელიც კინის მოგონებათა წიგნის გამოქვეყნებას მოჰყვა. ამ წიგნში კინი აღიარებდა, რომ შურისძიების მიზნით დაამტვრია ალფ ინგე ჰაალანდი, რომელიც სამუდამოდ გამოეთხოვა ფეხბურთს. მერე კინს სამოედნო შეხლა მოუხდა სანდერლენდელ ჯეისონ მაკატირთან, რასაც მისი დისკვალიფიკაცია მოჰყვა და ამ დისკვალიფიკაციას კინმა ოპერაცია დაამთხვია, რის შემდეგაც ახლახან გამოჩნდა მოედანზე.

„ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ნაკრებში კვლავაც ვითამაშებდი — თქვა გუშინ დილით კინმა — მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ ამდენ დატვირთვას ვერ გავუძლებ. ნაკრები საიმედო კაცის ხელშია. მიჭირს, მაგრამ მხოლოდ გულშემატკივარი ვხდები“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ამხანაგური მატჩები

## საბანი და ბალიში გვექინება, გაგვიშვით!

**ჩინეთი 0:0 ბრაზილია**

**ჩინეთი:** იუნფეი, პუ, ჟ. ჟი, ვეიფენგი, შინი (ჟანბო 69), კ. პონგი (ჟინიუ 62), ლ. ტიეჟიხაი (გენვეი 84), ხაოპენგი (იუნლონგი 23), იუნჟე, იი (ჩენ-იანგი 62)

**მწვრთნელი:** არი ჰაანი

**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ანდერსონ პოლგა, რობერტო კარლოსი, ლუიზაო, კლებერსონი (ჟუნინიო პერნამბუკანო 74), ჟილბერტო სილვა, ზე რობერტო (ემერსონი 74), რონალდინიო (დენილსონი 62), რონალდო, რივალდო

**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა

**მსაჯი:** ტაი-იუნგ კიმი (ს. კორეა)

**60 000 მაყურებელი**



არი ჰაანი კმაყოფილი დარჩა

გუშინ ბრაზილიის ნაკრები თვითმფრინავში რომ ნებივრობდა და გუანჯოუსკენ მიფრინავდა, ბაიუნის აეროპორტის ადმინისტრაცია ტელეფონის ზარმა გამოსცრა მავანმა სრულიად მშვიდად ამოსძახა ყურმილში, რამდენიმე წუთში აეროპორტის შენობაში ბათქა-ბუთქი ატყდება, ბომბი დავამონტაჟეო. პოლიციამ უცბად გარეკა ხალხი შენობიდან, გადააქოთა იქაურობა და ვერაფერი იპოვა.

ბომბი არც ჩინეთი — ბრაზილიის მატჩისას აფეთქებულა. ისე მშვიდად დაიწყეს და დაასრულეს, როგორც შეხმატკბილებულმა მეზობლებმა. ნამგზავრმა მსოფლიოს ჩემპიონებმა პირველი ტაიმი გამოფხიზლებას მოანდომეს. სანამ მათ ეძინათ, ჩინელები ალაგალაგ ჩხვლეტდნენ. განსაკუთრებით სუნ ჟიხაის სურდა თავის გამოჩენა, მაგრამ მან თანაგუნდელები ვერ აიყოლია. ჟიხაიმ რამდენიმე საგოლე პასითაც მოამარაგა ფორვარდები, თუმც დიდას, დანარჩენებისგან განსხვავებით, არ ეძინა და მისი სიფხიზლის ბრალია, ჩინელები რომ ვერ დაწინაურდნენ.

სტუმრები ძალიან იშვიათად თუ გადალასლასდებოდნენ მეტოქის წილ მოედანზე და სახეიროც პირველ ნახევარში არაფერი გაუკეთებიათ.

შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა სახე დაიბრუნა. რონალდინიომ ერთი კი გაიტანა, ოღონდ სამხრეთკორეელმა ტაი იუნგ კიმმა საეჭვო თამაშგარის გამო გაუუქმა. რონალდოსაც ჰქონდა ხელსაყრელი მომენტები. ჯერ მასპინძელთა მეკარემ, იუნფეი ლიმ მოუხსნა ბურთი, რომელსაც „კიჭა“ ჩაუსაფრდა. მერე კი რონალდინიომ ჩაუშრიალა ოთხ მცველს, კარგი პასიც მიაწოდა რონალდოს, მაგრამ რეალელმა მომენტი გააცუდა.

მატჩის შემდეგ კარლოს ალბერტო პარეირამ მოკლედ თქვა: „ფეხბურთელები ძალიან ნელა მოძრაობდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და ეს მხოლოდ ხანგრძლივი მგზავრობის გამო. სამაგიეროდ, ბევრად უკეთ ითამაშეს მეორეში“.

არი ჰაანი დებიუტით კმაყოფილი იყო: „ამჟამინდელი ჩინეთის ნაკრებისთვის ეს ძალიან კარგი შედეგია, თუ გავიხსენებთ, რომ შარშან იგივე მეტოქესთან 0:4 დამარცხდა. ვფიქრობ, სწორი გზით მივდივართ და ჩინეთს მომავალი აქვს“.

**გაგა ხუციშვილი**



რივალდომ ჩინეთში ვერ გაინავარდა

**კამერუნი 0:3 კოტ დივუარი**

0:1 გუელი (37), 0:2 დროგბა (45), 0:3 კალუ (83)

**ახალგაზრდულები**

**პორტუგალია 2:1 შვეიცარია**

1:0 მაკუკულო (2), 2:0 მარტინში (27), 2:1 მუფი (83)

**შოტლანდია 2:0 ირლანდია**

1:0 მელოუნი (41), 2:0 ლინზი (68)

**მალტა 0:3 მაზახეთი**

**თურქეთი 4:2 უკრაინა**

**აფრანგეთი 1:0 ჩეხეთი**

**იტალია 1:0 ინგლისი**

**ჩრდ. ირლანდია 3:1 ფინეთი**



ჰენრიკ ლარსონის მოტეხილმა ყბამ მარტინ ონილს საფიქრალი გაუჩინა



# ვაი, ყბა!

## სელტიკს ლარსონი გაუტეხეს

**„სელტიკის“** ფანებს გლოვის ჟამი დაუდგათ. შოტლანდიური პრემიერლიგის გასულ ტურში, „ლივინგსტონთან“ შეხვედრის მეთოთხმეტე წუთზე, „სელტიკ პარკზე“ რაღაცამ ამაზრზენად დაიჭახანა. მოედანზე ერთმანეთს მასპინძელთა კერპი, შვედი ჰენრიკ ლარსონი და სტუმართა მოთამაშე გუსტავო ბეკოენი შეასკდნენ. შემთხვევის ადგილზე ექიმები გაჩნდნენ და ლარსონი მყის საავადმყოფოში გააქანეს.

გამოკვლევის შემდეგ დაადგინეს: მეგოლეს ყბა აქვს გატეხილი. ასე რომ, ლარსონს ოპერაცია ელის და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რამდენი ხნით მოუწევს იძულებითი დასვენება.

ყბაშეხვეული ლარსონის „სელტიკს“ სულ მალე „შტუტგარტთან“ უეფას თასზე შეხვედრა ელის და სავარაუდოდ, იგი ვერ ითამაშებს. შოტლანდიელთა მწვრთნელის, მარტინ ონილის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ჯონ ჰართსონი დისკვალიფიცირებულია, რაც საკმაოდ დიდი დანაკლისი იქნება „შტუტგარტთან“ ბრძოლაში.

ლივინგსტონელმა გუსტავ ეკოენმა ჰენრიკ ლარსონს საჯაროდ მოუბოდიშა: „მერწმუნეთ, ეს წინასწარ განზრახვით არ ჩამიდენია. სულაც არ მიფიქრია ლარსონის ყბაზე. ერთი ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, ჩვენ მოულოდნელად შევასკდით ერთურთს. მესმის, თუ რას ნიშნავს ჰენრიკ ლარსონი „სელტიკისთვის“, ამის გამო თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, თუმც იმედი მაქვს, რომ ხალხი ჩემს უდანაშაულობას დაიჯერებს“.

„სელტიკი“ ამ სეზონში ოთხ ფრონტზე იბრძვის და მთავარმეგოლის გარეშე ძალიან გაუჭირდება. გუნდმა უეფას გარდა შოტლანდიის თასის მერვედფინალშიც გააღწია, პრემიერლიგაში „რეინჯერსს“ კუდში მისდევს, 16 მარტს კი ლიგის თასის ფინალში გლაზგოური დერბი შედგება.

**გაგა ხუციშვილი**


UAB "Biljardai"

Zeus

ზევსი

Biljardai

ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელების



saluc

Master

საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას

კონსულტაციები, გარანტია, შეკეთება, რემონტი, რესტავრაცია

ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80

*კარლოს ალბერტო პარეირა ისე უეცრად დათანხმდა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას, რომ თვითონაც არ სჯეროდა. ბრაზილია ჩემპიონური სულითაა გაჟღენთილი და ჩემპიონებს პატივს სცემენ. ამიტომაც შეაჩერა ფედერაციამ თავისი მზერა პარეირაზე. მან ხომ 1994 წელს ქვეყანას დიდი ხნის წინ დავიწყებული სიხარული დაუბრუნა. გუშინ მორედ გამწვრთნელებულმა კარლოს ალბერტო პარეირას ბრაზილიამ პირველი მატჩი ითამაშა და არი ჰაანის ჩინეთს უგოლო ფრეზე შეუთანხმდა.*



# ლეილას მაზოხისტი ქმარი

## პარეირამ ბრაზილიელების ტვინში მეორედ ჩაიხედა

**— თქვენი დაბრუნება მოულოდნელი იყო...**

— ასეც ხდება. ნაკრების მწვრთნელობისას უმძიმესი დღეები გადავიტანე და ბოლო წუთამდე მიჭირდა დაყაბულება. არასოდეს დამავიწყდება, როგორი წნეხის ქვეშ მაქცევდა პრესა და ტელევიზია. ამიტომაც ვყოყმანობდი. ფედერაციასთან შეთანხმებისა და კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ შინ დავბრუნდი. ჩემს ცოლს, ლეილას რომ ვახარე ეს ამბავი, არ დამიჯერა და მომახალა: „კარლოს, შენ მაზოხისტი ხარ? მითხარი, ხუმრობ? მითხარი, რომ ეს საზიზღარი სიზმარია!" სამაგიეროდ, შვილებმა გაიხარეს და მომილოცეს: „ყოჩაღ, მამილო, შენ ისეთი კაცი ხარ, მსოფლიოს ჩემპიონატს კიდევ მოიგებ!"

**— ამბობენ, რომ მარიო ლობო ზაგალომ დაგიყოლიათ...**

— მართალია. თავიდან ვიუარე. ყველა ასაკის ნაკრებთა ტექნიკურ დირექციას ვკურირებდი და მწვრთნელობაზე პრეტენზია არ მქონდა. მერე ზაგალომ დამირეკა. მექსიკის 1970 წლის ჩემპიონატი გამახსენა. მაშინ ჩემი, როგორც ფიზმომზადების მწვრთნელის დებიუტი შედგა და სწორედ ზაგალოს გვერდში ვიდექი. არც 1994 წელი დავიწყებია, როცა მსოფლიოს თასი მოვიგეთ. მოკლედ, მან დამიყოლია და მოგონებებში რომ ჩავიძირე, დაბრუნების სურვილი გამიჩნდა. სხვა გზა არ მქონდა, იქით მეგობრები მეხვეწებოდნენ, აქეთ ადამიანები, რომლებსაც სჯეროდათ ჩემი. ყველაფერი ეს ფეხბურთის ნაწილია. მათ დაღებითად იმოქმედეს და მაიძულეს, ამ რთულ მისიას შევჭიდებოდი. ნათქვამია, უკან დაბრუნება ცუდი ნიშანიაო, მაგრამ ვფიქრობ, გამონაკლისებიც არსებობს.

**— ალბათ, „კორინთიანსთან" განშორება ადვილი არ იქნებოდა.**

— ცხადია, ძნელი იყო. კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა დავრჩენილიყავი და კლუბს ჩემი იმედი ჰქონდა. შარშან ძალიან კარგად ვითამაშეთ. სან პაულუს შტატის ჩემპიონები გავხდით, „რიო-სან-პაულუს" ტურნირშიც ვიყოჩაღეთ, ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში კი „სანტოსთან" დავმარცხდით. მიუხედავად ამისა, კლუბიდან ჩემს წასვლას გაგებით შეხვდნენ. მე და მარიო ლობო ზაგალოს ოცნება გვაქვს: 2006 წელს გერმანიაში ბრაზილიის ნაკრები მეექვსედ უნდა გავხადოთ მსოფლიოს ჩემპიონი. ჩვენი სამწვრთნელო დუეტი განუყრელია და ეს იქნებოდა იდეალური ფინალი ორივეს კარიერაში.

**— საამისოდ თქვენ შესარჩევის გავლა მოგიწევთ და ეს იოლი არაა.**

— სამხრეთ ამერიკის ჯგუფში ბრაზილიას ყველა დიდი ჟინით ებრძვის, რადგან ჩემპიონების დამარცხება სასახელოა. რთული მატჩები გველის. ყოველ შემთხვევაში, მარტო ბოლივიასთან ან ეკვადორთან შეხვედრებზე რომ ვთქვათ, 3 000 მეტრ სიმაღლეზე თამაში საშინელებაა. ჩვენ რა შეგვიძლია? ფიფელ ჩინოვნიკებს თუ მოვიწვევთ და ერთხელ მაინც ვათამაშებთ ანდებში, ეგებ მაშინ მაინც მოიქექონ თავი და რამე მოიფიქრონ. ჩემი აზრით, ფიფას აღმასკომმა ლიმიტი უნდა დააწესოს, დავუშვათ, 1500 მეტრი ზღვის დონიდან.

**— 1994-ში თქვენ დაცვითი ტაქტიკისადმი ტრფობაში გადანაშაულებდნენ...**

**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**15.02 18.00 2606 ბელგია Iდ. (XXII ტური)**
**27 ან ნაკლები – 1,9, 29 ან მეტი – 1,9**
**15.02 15.30 2607 თურქეთი (XX ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**

## ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონთა თასი**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 5.0 |
| 002 | მანჩესტერი | 5.0 |
| 003 | მილანი | 5.0 |
| 004 | არსენალი | 6.0 |
| 005 | იუვენტუსი | 7.0 |
| 006 | ბარსელონა | 7.0 |
| 007 | ინტერი | 7.0 |
| 008 | ვალენსია | 8.0 |
| 009 | დეპორტივო | 20.0 |
| 010 | დორტმუნდი | 20.0 |
| 011 | აიაქსი | 25.0 |
| 012 | რომა | 40.0 |
| 013 | ლევერკუზენი | 75.0 |
| 014 | ნიუკასლი | 75.0 |
| 015 | ლოკომოტივი | 250.0 |
| 016 | ბაზელი | 500.0 |

**უეფას თასი**
**20 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3.0 |
| 022 | ლივერპული | 3.0 |
| 023 | ჰერტა | 8.0 |
| 024 | პორტუ | 10.0 |
| 025 | სელტიკი | 10.0 |
| 026 | მალაგა | 10.0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15.0 |
| 028 | ოსერი | 15.0 |
| 029 | შტუტგარტი | 15.0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15.0 |
| 031 | აეკ | 15.0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20.0 |
| 033 | სლავია | 30.0 |
| 034 | ბოავიშტა | 30.0 |
| 035 | დენიზლი | 50.0 |
| 036 | ვისლა | 50.0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**22 თებერვალი (17.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**22 თებერვალი (18.30)**

| | | |
|---|---|---|
| 171 | აუსტრია | 1,01 |
| 172 | შტურმი | 15,0 |
| 173 | რაპიდი | 15,0 |
| 174 | პაშინგი | 15,0 |

**რომელი ქვეყნის**
**კლუბი აიღებს**
**ჩემპიონთა თასს**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,5 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 15,0 |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ᵃ კორპუსი

**კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**
**კვირა 12.00–20.30**

სარბიელი
სპორტული ლატარეა
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ᵃ კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ცქიტიშვილმა პოლიციასთან ურთიერთობას მოუხშირა

11 თებერვალი

**ლეიკერსი 121:93 დენვერი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (42), ფიშერი (10), ონილი (20), უოლკერი (14), ფოქსი (3); რაში (10), ჰორი (2), ჯორჯი (10), შოუ (4), მედსენი (2), მედვედენკო (4)
**დენვერი:** ჰარინგტონი (6), იარბრო (18), ანდერსენი (6), ჰოვარდი (18), ილარიო (12); ვიტნი (14), კემბი (2), ცქიტიშვილი (16 წუთი, 4 ქულა, 1 პასი), ბოუენი, ვაიტი (4), ბლუნტი (4), პარკი (5)

**მაიამი 69:78 ნიუ ორლეანი**

**მაიამი:** ჯონსი (26), ბესტი (2), ალენი (14), კ. ბატლერი (11), გრანტი (6); ჯეიმსი, სტეფანია (16 წუთი, 8 მოხსნა), ჰაუსი (4), რ. ბატლერი (2), მარქსი (4), ელისი
**ნიუ ორლეანი:** ვესლი (11), ლინჩი (6), მეშბერნი (15), ბრაუნი (10), მაგლუაირ (15); ალექსანდერი (10), ჰეკი (2), მოისო (2), ტრეილორი (5), კემბელი (2)

**მინესოტა 100:98 დალასი**

**მინესოტა:** გარნეტი (26), შჩერბიაკი (21)
**დალასი:** ნოვიცკი (34), ფინლი (21)

**ფინიქსი 106:107 კლიპერსი**

**ფინიქსი:** მარბერი (33), მარიონი (22)
**კლიპერსი:** ბრენდი (29), რიჩარდსონი (20)

**პორტლენდი 111:116 სან ანტონიო**

ძირითადი დრო 102:102
**პორტლენდი:** უოლესი (25), პიპენი (19)
**სან ანტონიო:** დანკანი (36), პარკერი (22)

**ჰიუსტონი 101:103 იუტა**

ძირითადი დრო 94:94
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (28), მინგი (25 ქულა, 10 მოხსნა)
**იუტა:** მელოუნი (33), ჰარპრინგი (24)

**ორლანდო 92:83 ნიუ ჯერსი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (32)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (19), ჯეფერსონი (15)

**სიეტლი 76:82 ბოსტონი**

**სიეტლი:** პეიტონი (23 ქულა, 11 მოხსნა)
**ბოსტონი:** უოლკერი (17), პირსი (14)

**ინდიანა 107:96 კლივლენდი**

**ინდიანა:** ონილი (28), მილერი (25)
**კლივლენდი:** ჯონსი (25), დეივისი (23), ილგაუსკასი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ატლანტა 113:116 გოლდენ სტეიტი**

**ატლანტა:** გლოვერი (28), რობინსონი (25)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (37), რიჩარდსონი (24)

**ჩიკაგო 79:89 დეტროიტი**

**ჩიკაგო:** როუზი (27), მარშალი (12)
**დეტროიტი:** ბილაპსი (20), ოქური (17), უოლესი (3 ქულა, 22 მოხსნა)

რა მაკგრეიდი, რის გარნეტი, ასე თუ გააგრძელა, კობი ბრაიანტი სეზონის უძვირფასესი კალათბურთელი გახდება, მისი „ლეიკერსი“ კი ალბათ ზედიზედ მეოთხედ იჩემპიონებს.

კობის უკვე რა ხანია, ტოლი არ ჰყავს: ბოლო 6 მატჩია 35 ქულაზე ნაკლებით არ ტოვებს მოედანს, ხოლო 30-ქულიან თამაშებს თუ გავყვებით, შორეულ წარსულში მოგვიწევს დაბრუნება. აქვე შევნიშნავთ, რომ ბრაიანტი უახლოვდება ლეგენდარული ჯერი ვესტის რეკორდს, რომლის სასეზონო 13 40-ქულიანი მატჩი „ლეიკერსის“ ისტორიაში უნიკალურია. კობიმ „დენვერთან“ გუშინწინდელ შეხვედრაში ამ სეზონში უკვე მეათედ მიუკაკუნა 40-ს.

ბრაიანტის შემჩერებელი აბა, ვინ უნდა მოძებნილიყო ბუტუსურა დენვერელთაგან. კობიმაც საიდანაც მოისურვა, იქიდან უყარა ბურთები ცქიტიშვილის გუნდს და მესამე მეოთხედის ბოლოსთვის 42 ქულა დაუგროვდა. სუპერმექულე მერე სათადარიგო სკამზე გადაჯდა და იქიდან უყურა დარჩენილ დროში, როგორ ცოდვილობდნენ 66:100 ჩამორჩენილი დენვერელები.

ცქიტიშვილმა 16 წუთი იბურთავა და 4 ქულა დაუგროვდა. ნიკა ლოს ანჯელესში მარტო ჩაფრინდა. დენვერის აეროპორტში რომ მიიჩქაროდა, ცქიტიშვილი პოლიციამ რატომღაც 5 საათი განყოფილებაში აყურყუტა. ნიკამ წესრიგის დამცველებს თავი რომ დააღწია, „ნაგიტსი“ უკვე ლოს ანჯელესში ჩაფრენილიყო. რეისის გაცდენისთვის ცქიტიშვილს 2500 დოლარის გადახდა მოუწევს, ამდენივეს გადარიცხავს იგი „დენვერის“ სალაროში, რადგან „ლეიკერსთან“ მატჩისწინა ვარჯიშს, ცხადია, ვერ ჩაუსწრო.

სხვათა შორის, შაკილ ონილმაც გააცდინა „დენვერთან“ მატჩისწინა ვარჯიში, მაგრამ მას ალბათ არ დააჯარიმებენ, რადგან მთამაშკის ცოლი სამშობიარო ტკივილებს შეუწუხებია და ჰოსპიტალში გახლდათ... „ლეიკერსმა“ კი ბოლო 25 მატჩიდან მე-20 მოიგო.

წააგო მეორე ქართველის გუნდმაც. ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი“ შინ „ნიუ ორლეანთან“ დამარცხდა. ჩვენებურს 8 მოხსნა დაუგროვდა, მაგრამ რაღ გინდა, ქულა ვერ ჩააგდო. ქულებზე თუ მიდგა საქმე, „ჰორნეტსის“ ოლსტარელი ჯამალ მაშბურნი უნდა ვახსენოთ, რომელიც ბოლო სამი მატჩია, საშუალოდ 32 ქულას იხვეჭს, „მაიამისთან“ მითვლილი 15 კი სათვალავშიც არ ჩააგდო: „ცუდია, როცა სროლები არ მიგდის, მაიამელებთან მიზანი გამიმრუდდა და ვცდილობდი, სხვა რამეში დავხმარებოდი ჩემიანებს. მგონი, კარგად გამომივიდა.“

აღსანიშნავია, რომ ფლორიდელები მესამე მეოთხედში 44:40 იგებდნენ, მაგრამ მერე ეტყობა, ჩათვლიმეს და 4:20 წაგებული მონაკვეთის შემდეგ უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

რაც დრო გადის, მყარდება აზრი, რომ ლიგის ამჟამინდელი ლიდერი „დალას მავერიკსი“ არც ისე ძლიერია, როგორც ცხრილიდან ჩანს. ტეხასელები საშუალო გუნდებს არ ინდობენ, ცოტა ძლიერებთან კი დიდად ვერ ბრწყინავენ. „დალასი“ ამჯერად ლიგის ერთ-ერთმა მზარდმა გუნდმა, კევინ გარნეტის „მინესოტამ“ დაამწუხრა. „ფეხებზე გვკიდია „კლივლენდის“, „კლიპერსისა“ და მისთანათა დამარცხება. ჩვენ ბობოლების ძლევა გვწადია“ — აღშფოთებული და ცოტა უტაქტო იყო დალასელთა ლიდერი დირკ ნოვიცკი, რომლის ნაჯაფი 34 ქულა მინესოტელმა ვალი შჩერბიაკმა ბოლო წამებზე ქარს გაატანა.

არადა, დალასელებმა თითქმის უიმედო მატჩი შემოატრიალეს. ნოვიცკი და კომპანია მესამე მეოთხედში 19 ქულას აგებდა, თუმც გერმანელი მზეჭაბუკის დახმარებით „მავერიკსი“ „მგლებს“ წამოეწია და თამაშის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე 98:95 დაწინაურდა. მაგრამ არ ეძინა მთავარ „მგელს“ — „ოლ სტარის“ უძვირფასესმა მოთამაშემ კევინ გარნეტმა უმალ გაათანაბრა ანგარიში და მომდევნო შეტევაში ბოლო წამებზე ისეთი უპასა ვალი შჩერბიაკს, ამ უკანასკნელს რომ ვერ ჩაეგდო, მინესოტელთა საშვილიშვილო ვალი დაედებოდა. „ისინი ერთთავად ჩემზე იყვნენ გადმორთულნი. ბოლო წამები იყო და ეგონათ, გადამწყვეტ სროლას არავის დავანებებდი, თუმც ვალი გამოეპარათ და მანაც გაგვიმართლა“ — სწორად შენიშნა „მჟრინავმა მგელმა“ კევინ გარნეტმა.

**ირაკლი ბერტაია**



AP ფოტო

კობი ბრაიანტმა არაერთხელ ჩაუტენა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს“

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 34 | 16 | 68,0 |
| ბოსტონი | 28 | 22 | 56,0 |
| ფილადელფია | 25 | 24 | 51,0 |
| ორლანდო | 25 | 26 | 49,0 |
| ვაშინგტონი | 24 | 26 | 48,0 |
| ნიუ იორკი | 21 | 27 | 43,8 |
| მაიამი | 17 | 33 | 34,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 35 | 15 | 70,0 |
| დეტროიტი | 33 | 15 | 68,8 |
| ნიუ ორლეანი | 27 | 24 | 52,9 |
| მილუოკი | 25 | 23 | 52,1 |
| ატლანტა | 19 | 31 | 38,0 |
| ჩიკაგო | 17 | 33 | 34,0 |
| ტორონტო | 14 | 34 | 29,2 |
| კლივლენდი | 10 | 41 | 19,6 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 38 | 11 | 77,6 |
| სან ანტონიო | 34 | 16 | 68,0 |
| მინესოტა | 30 | 20 | 60,0 |
| იუტა | 30 | 20 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 26 | 23 | 53,1 |
| მემფისი | 13 | 35 | 27,1 |
| დენვერი | 12 | 38 | 24,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 35 | 17 | 67,3 |
| პორტლენდი | 32 | 17 | 65,3 |
| ფინიქსი | 29 | 22 | 56,9 |
| ლეიკერსი | 25 | 23 | 52,1 |
| გოლდენ სტეიტი | 22 | 27 | 44,9 |
| სიეტლი | 21 | 28 | 42,9 |
| კლიპერსი | 18 | 32 | 36,0 |



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# წაგებული ხარ, როცა გიყვარს

## მარტინ ბროდომ პატრიკ რუას გული და კარი გაუღო

11 თებერვალი

**კოლორადო 3:1 ნიუ ჯერსი 1:0 1:0 1:1**

**1:0 ტანგეი (8), 2:0 მორისი (31), 2:1 ნიუნდაიკი (52), 3:1 ჰეიდუკი (56)**

თავის დროზე მარტინ ბროდოსაც ჰყავდა კერპი — პატრიკ რუა. ამას იგი თითქმის ყველა ინტერვიუში აღიარებდა. გამოხდა ხანი, ბროდო თავად იქცა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ, მაგრამ მისთვის რუა მაინც მიუწვდომელ სიმაღლეზე დარჩა. „ჩვენს პირად შეხვედრებში თითქმის ყოველთვის პატრიკი მჯობნის. ეგებ იმიტომ, რომ კვლავაც ვეთაყვანები“ — გულახდილია ბროდო. რაღა გვეთქმის. ამ თამაშში დარტყმებში უპირატესობა (33-18) ნიუ ჯერსის მხარეს იყო, მაგრამ გამარჯვება მაინც კოლორადოს ხვდა წილად, თუმც ბროდოს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია, ჩვეულად, საიმედოდ იცავდა კარს. აი, მარტინის კოლორადოელი ოპონენტი კი საიმედოობას არ დასჯერდა, მან სასწაულები მოახდინა. სწორედ რუას დამსახურებაა, რომ გამარჯვებული პირველივე პერიოდში არ გაირკვა — ნიუ ჯერსის ასე 3-4 შაიბა მაინც უნდა გაეტანა, ამ დროს კი თვითონ მიიღო გოლი.

საერთოდაც ლიგაში მე-1000 თამაშის ჩატარების შემდეგ რუა თითქოს შეცვალესო. „წმინდა პატრიკი“ სეზონის დასაწყისში ერთობ დაბნეულად კი გამოიყურებოდა, მაგრამ რაც მეორე ათასეულის ათვლა დაიწყო, ფრთები შეისხა და ისე ათამაშდა, ზედიზედ მეორედ მიიჩნიეს კვირის ყოჩად. არ არის გამორიცხული, ამჯერადაც მან აჯობოს ყველას.

ისე, კოლორადოს გამარჯვებას მარტო პატრიკ რუას გმირობას ნუ მივაწერთ. ბოლო მატჩებში ჰეიდუკ-ფორსბერგ-ტანგეის წამყვანი სამეულიც (8 თამაშში 16 გოლი და 25 პასი) ბრწყინავს. ამჯერადაც სამივე შაიბა მათი მონაწილეობით გავიდა.



REUTERS ფოტო

ნიუ ჯერსელი მეკარე მარტინ ბროდო (მარცხნივ) დღემდე ძრწოლით უყურებს კოლორადოელ კოლეგას პატრიკ რუას

**აილენდერსი 6:2 ტამპა 3:1 1:0 2:1**

**1:0 პეკა (3), 1:1 ბოილი (11), 2:1 უიმერი (18), 3:1 პერიში (20), 4:1 სკაჩარდი (36), 4:2 მოდინი (49), 5:2 სკაჩარდი (51), 6:2 სკაჩარდი (56)**

ტამპელთა მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი ამ ბოლო დროს დაინავსა — რუსი, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულად თამაშობს, მაგრამ როცა ის დგას კარში, „ელვები“ რატომღაც აგებენ. მის დუბლიორ ჯონ გრემის კი ბედი უღიმის. ხაბიბულინი ამჯერად ყველაზე მეტად აილენდერსელმა დეივ სკაჩარდმა დაამწუხრა.

**ბუფალო 2:3 სენტ ლუისი 2:0 0:2 0:1**

**1:0 მაირი (6), 2:0 კონოლი (17), 2:1 ტკაჩუკი (35), 2:2 მარტინსი (36), 2:3 ფინლი (56)**

თებერვლის ყველაზე უიღბლო მოთამაშედ სენტ ლუისის ლიდერი დუგ უეიტი შეგვიძლია მივიჩნიოთ. „ოლ სტარ'ზე“ ერთ-ერთმა პარტნიორმა შაიბა გაარტყა და ფეხი დაუზიანა, ამ მატჩში ახლახან დაბრუნებულ ფორვარდს კი შაიბამ ცხვირი დაუჭეჟა. აი, მისმა პარტნიორმა, მცველმა ჯეფ ფინლიმ კი ძალიან გაიხარა — 2000 წლის 25 ნოემბრის შემდეგ პირველად გაიტანა.

**ტორონტო 4:5 ედმონტონი 0:1 1:2 3:2**

**0:1 მორო (18), 0:2 რიზონერი (32), 0:3 კარტერი (33), 1:3 სუნდინი (39), 2:3 მაკოლი (43), 2:4 ბრიუერი (45), 3:4 დომი (56), 3:5 ჰორკოფი (51), 4:5 შვებლა (54)**

**ნეშვილი 2:3 ლოს ანჯელესი 0:2 1:0 1:1**

**0:1 პალფი (7), 0:2 მილერი (11), 1:2 ჯონსონი (39), 1:3 ლაპერიე (52), 2:3 იაჩმენევი (52)**

**დალასი 2:1 კაროლინა 0:0 0:1 1:0 1:0**

**0:1 ჰედიკანი (39), 1:1 ზუბოვი (47), 2:1 ზუბოვი (65)**

დალასელმა სერგეი ზუბოვმა გადამწყვეტი გოლი ოვერტაიმის დასრულებამდე 0,1 წამით ადრე გაიტანა.

**მონრეალი 3:1 ბოსტონი 0:0 2:0 1:1**

**1:0 რიბეირო (27), 2:0 სუნდსტრიომი (39), 2:1 სუინი (43), 3:1 ბულისი (59)**

წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ ჟოზე თეოდორმა წლეულს აღმოაჩინა, რომ ძირითადი მეკარის წოდებისთვის დიდი კონკურენცია ელის. მეტიც, სეზონის დასაწყისში ჯეფ ჰეკეტი მასზე უკეთესადაც კი გამოიყურებოდა, მაგრამ იგი, როგორც უფრო მოხუცი, გაყიდეს, რადგან მონრეალი მეკარეების ჯამში ერთობ დიდ ხელფასს, 9,5 მილიონ დოლარს ვერ გაუძლებდა. ამის შემდეგ ჟოზემ თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ ახლა მანამდე მესამე მეკარედ მიჩნეული მეტიუ გარონი ათამაშდა. აგერ, უკვე მეორე მატჩია, გარონი (ამჯერად 42 დარტყმა მოიგერია) სასწაულებს ახდენს, თეოდორი კი სკამზე ზის. ბედის ირონიით, ამჯერად გარონმა სწორედ ჰეკეტი დაჯაბნა, რომელიც ამჟამად ბოსტონის ძირითადი მეკარეა.

**სამველ ღარიბიანი**

**SIEBEL OPEN**

**სან ხოსე. ჰარდი**

**საპრიზო 380 ათასი.**

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:2; ჟან-მაიკლ გამბილი (4, აშშ) — ტოდ რიდი (ავსტრალია) 6:2, 6:0; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:2, 6:7 (7:9), 6:1; რობი ჯინეპრი (აშშ) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4, 1:6, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ჟან-რენ ლინარი (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:3**

# რა არის ცხოვრება?! უბერებელი ისევ უბერავს, შებერებულებს დრომ შეუბერა

დიად ამერიკელთა წარმავალი თაობის ორი ჯადოსანი წარმომადგენელი — 55 ტიტულის მომგები ანდრე აგასი და 34 ტურნირზე ნახეირალი მაიკლ ჩანგი ერთმანეთში უკვე ოცი წელია პაექრობენ. თუკი ბიჭბუჭობისას მათ ნაჩოგნავებს არ გავითვალისწინებთ და ათვლას 1988 წლიდან, მათ შორის შემდგარი პირველი სა-ATP-ო მატჩიდან დავიწყებთ, ამგვარი რამ დაგვიჯამდება: 32 წლის აგასი ორი წლით უმროც თვისტომს უკვე 14:7 უგებს.

რვაგზის მესლემტიტულე არმენოამერიკელმა მხოლოდ ერთგზის მესლემტიტულე აზიოამერიკელს ამ ჯერზე ფიირა შანსიც არ დაუტოვა. გეხსომებათ, ჩანგი წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ჩოგნის დედაბოძზე ჩამოკიდებას აპირებს და ამიტომაც ტურნირებს მხოლოდ პენსიაზე გამსვლელის სტატუსით სტუმრობს. მართალია ჩვეული ჯიგარი და გაუტეხელი სულისკვეთება ბოლომდე ჯერაც არ განელებია, მაგრამ უკვე აღარც იმ ბულდოგივით მოშუშპრავე ბიჭსა ჰგავს, თავის დროზე წყნარი ოკეანის ერთი სანაპიროდან მეორემდე შმაგად და მოულლელად რომ დაჰქროდა.

„ის არა მხოლოდ ჩოგბურთის ყველა დროის უდიდესი მეომარია, არამედ საერთოდ სპორტისაც — ამბობდა მისი ძლევის შემდეგ აგასი — კორტზე ის



ანდრე აგასი

AP სან ხოსედან



მაიკლ ჩანგი

მთლიანად იხარჯება და უნდა გითხრათ, მასთან თამაში ჩემთვის ყოველთვის დასტურ შემგულიანებელი რამე იყო."

მოსაგონებელია ის ამბავიც, რომ კარიერის უპირველესი ტიტული ჩანგმა სწორედ საამტურნირო მაგარსაფარზე ირგუნა. ეს ამბავი ასევე იმ შორეულ, 1988 წელს მოხდა. ტიტულოვანი ჩოგნობა მან იქ ოთხი წლის შემდეგ, 1992-შიც გაიმეორა.

ყოველივე ამის გამო მათი თამაშის საცქერლად გუშინ 10 043 ჭომაგი მოგროვდა. ასეთი ზორბა ლიანგი იქ თურმე 1994 წლის შემდეგ აღარ შეკრებილიყო.

ჩანგი: „დღეს ანდრე საუცხოოდ აწვლიდა. არ მახსოვს, ჩემთვის ოდესმე ამდენი ეისი ჩაეყუმბარებინოს. მეორე სეტში გასაქანი არ მომცა და ძალიან სოლიდურად ითამაშა. ნაამატჩევს შემიძლია, მთელი დარჩენილი სეზონი მშვიდად ვიყო. რატომ? იმიტომ რომ კაცს, ვინაც მთელ ამქარში ჩემთან ყველაზე დიდ უპირატესობას მოიძევს, რიგიანად ვეჩოგნავე. ეს ამბავი თავდაჯერებით ამავსებს."

მეორე წრეში ჯადო ანდრანიკი ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს, ტურნირის 1999 და 2000 წლების გამარჯვებულს შეეხლება. ზორბა ოზის, ვინაც გუშინ უსახელო ფრანგ ლინარს გასცდა, ამერიკელთან ნათამაშებ 5 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვება დაეკვეხება.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ აგასი შარშანდელი ფინალისტია. მაშინდელ ფინალში მისი მძლეველი ლეიტონ ჰიუიტი წლეულს სან ხოსეში არ ჩასულა — კაცთა ამქრის ოზი უსტაბაში ამ სეზონში მხოლოდ უბობოლეს ტურნირებზე გამოსვლას გეგმავს.

## მარსელის ღია პირველობა

**ჰარდი. საპრიზო 475 ათასი.**

**პირველი წრე**

**რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:6 (7:5), 7:6 (8:6); დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 6:3**

შარშანდელი ჩემპიონი ტომას ენკვისტი წლეულს თავის მეოთხე მარსელური ტიტულის მითვლას ლამობდა. ეგებ გახსოვდეთ, იქაურ ჭერქვეშა მაგარსაფარზე მას 1997 და 1998 წლებშიც ემარჯვა. შვედის ამბიციებს, გამხდარიყო მარსელის ტურნირის პირველი ოთხგზის გამარჯვებული გუშინ ორტაიბრეიკიანი წერტილი დაუსვა ჰოლანდიელმა რაემონ სლოიტერმა, ვინაც შარშანდელი სეზონის განმავლობაში ოთხი ჩელენჯტურნირი მოიგო და წელი მსოფლიო კლასიფიკაციის პირადსარეკორდო 70-ე ადგილზე გაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ენკვისტს შარშან მხრის ტრავმა აწუხებდა, რის გამო აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ რამდენიმე თვე იუქმა კიდეც. მაგრამ გუშინდელ მარცხს ამ მხარზე მეტად დაჭიმულ საზარდულს უფრო დააბრალებდა, რომელმაც მას გასულ პარასკევ-კვირას ბრაზილიელებთან სადევისოდ ჩოგნაობა არ დაანება.

## BELL SOUTH OPEN

**ვინა დელ მარი. თიხა**

**საპრიზო 375 ათასი.**

**პირველი წრე**

**გასტონ გაუდიო (1, არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:0, 2:6, 6:1; მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ადრიან გარსია (ჩილე) 6:3, 6:2; ხოსე აკასუსო (4, არგენტინა) — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:3; ფერნანდო ვისენტე (6, ესპანეთი) — ოსკარ სერანო (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:4**

შარშან პირველსავე წრეში ძლეულმა მარსელო რიოსმა წლევანდელი ტურნირი მეტი რიხითა და დამაჯერებლობით დაიწყო. უსახელო თვისტომ ადრიან გარსიასთან ბურთაობას მან საათზე ნაკლები დრო მოანდომა და კორტი ისე დატოვა, მაისურა არ დაცვარვია.

„წლეულს სენსაციას გამოვრჩი — ხუმრობდა მერე — როგორც ხედავთ, გავიმარჯვე. ისე, ამჟამად თავს მართლაც კარგად ვგრძნობ და იმედი მაქვს, სარფს ამ სეზონში მაინც ვნახავ."

მოგაგონებთ, რომ შარშან რიოსს სამი თვის განმავლობაში ტრავმა აწუხებდა და არც ტრავმამდე და არც — მით უფრო — ნატრავმებს, ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

## PROXIMUS DIAMOND GAMES

**ანტვერპენი. ხალიჩა**

**საპრიზო 585 ათასი.**

**პირველი წრე**

**აი სუგიამა (იაპონია) — ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია) 7:5, 5:7, 6:3; პატი შნიდერი (7, შვეიცარია) — ელკე კლაისტერსი (ბელგია) 6:2, 6:3; ნატალი დეში (8, საფრანგეთი) — კლაუდინ შაული (ლუქსემბურგი) 6:4, 6:3**

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 6:3, 6:2**

შინაურ სარბიელზე კიმ კლაისტერსი რანგით მხოლოდ შარშანდელი ჩემპიონის, ვინუს უილიამსის მომდევნო ჩოგანს აქნევს. ეს ჩოგანი მან იმ დღეს წარმატებით გამოსცადა სქელუა შვეიცარიელ მირიამ კაზანოვაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირი და ჰალალად სასურველი სტუმარი გაგვიხდა.

სანაქებო ხასიათს ჰიუიტის ფუმფულა სატრფოს მხოლოდ ის თუ წაუხდენდა ხასიათს, რომ მისმა უმცროსმა დამ, ელკემ კაზანოვას გამოცდილ თვისტომ შნიდერთან წააგო.

სხვაფრივ — კვლავ დამარცხდა იუგოსლავიელი ელენა დოკიჩი. მკერდვიაგრა იუგგოგომ სეზონი მარცხენა ფეხზე დაიწყო და მეხუთე შეხვედრაში უკვე მესამედ ჩაფლავდა.

ალბათ გახსოვთ, დოკიჩთა ოჯახი იუგ ჩინოსნებს შემომწყრალა და ქვეყნის დატოვებაზე ფიქრობს. სათნო ელენესაც, ჩანს, ეგ ამბავი უნდა აღარდებდეს.

## ყატარის ღია პირველობა

**დოჰა. ჰარდი**

**საპრიზო 170 ათასი.**

**მეორე წრე**

**მარია ვენტო-კაბში (ვენესუელა) — ტამარინე ტანასუგარნი (4, ტაილანდი) 6:2, 6:2; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 7:6 (7:3); კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2**

დღის უმთავრეს მოვლენად წინა უქმეებზე ჰაიდარაბადში კარიერის პირველი ტიტულის მომხვეჭი ტანასუგარნის დამარცხება იქცა. პარადორნ შრიჩაფანის კვალობაზე ამობრწყინებული ტამარინე სრულიად უსახელო ვენესუელემა მრაია ვენტო-კაბშიმ აოტა. ინდოეთში სწრაფ საფარზე თამაშის მერე აქაურ თიხნარზე გადმორთვა გამიჭირდაო, თქვა ნამატჩეს ტამარინემ და იქვე დასძინა, ეგებ ცოტა დავიღალე კიდეცო.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ანტვერპენიდან

მირიამ კაზანოვა

*როგორც საბჭოთა ჩოგბურთის დიდი ვარსკვლავი ალექსანდრე მეტრეველი თვლის, ევგენი კაფელნიკოვმა თავისი პიროვნული ეგო გვერდზე უნდა გადადოს, თუკი სურს, რუსეთს დევისტიტულის შენარჩუნებაში დაეხმაროს. „დრო შეიცვალა" — ამბობს როიტერისთვის მიცემულ ინტერვიუში მეტრეველი, რომელიც თითქმის ყველა საბჭოური რუსული დევისრეკორდის მფლობელი გახლავთ*

# მეტრეველმა კაფელნიკოვი სახალხოდ გააშიშვლა

„ადრე კაფელნიკოვი გუნდის შეუცილებელი ლიდერი იყო და სანაკრებო შეხლებს ლამის მარტოკაცად იგებდა. ახლა კი ჩვენ უფრო ახალგაზრდული, უფრო დაბალანსებული გუნდი გვყავს, რომელშიც რაიმე მიზეზით ამოვარდნილი ძირითადი მოთამაშის ადგილს უპრობლემოდ იკავებენ სხვები."

მეტრეველი, რომელიც ამჟამად რუსული ტელეარხის, ენტევეს კომენტატორად მუშაობს, ამატებს: „ამაში თქვენ ორი თვის წინ საფრანგეთის წინაღმდეგ და გასულ პარასკევ-უქმეებზე ოსტრავაში ჩეხებთან გამართული შეხლებისას დარწმუნდებოდით."

შარშანდელ ფინალში უხეიროდ მოთამაშე კაფელნიკოვის ნაცვლად კორტზე გასულმა 20 წლის მიხაილ იუჟნიმ პოლ-ანრი მათიოსთან გადამწყვეტ მატჩში ორი სეტის წაგების შემდეგ მიჯრით სამის მოგება და რუსეთისთვის პირველი დევისთასის მოხვეჭა შეძლო.

წინა კვირაში რუსებმა წლევანდელი გათამაშების პირველ წრეში ჩეხებს 3:2 სძლიეს და ეს — მიუხედავად მაჯატრავმირებული მარატ საფინის არყოფნისა.

კაფელნიკოვი, ვისაც ჩეხების წინააღმდეგ ერთეულად არც უნდა ეთამაშა, გუნდს ვერც ამჯერად დაეხმარა და შეხლის ბოლო დღეს, კორტზე იუჟნის მაგივრად გასული ირჟი ნოვაკთან 2:6, 3:6, 6:7 დამარცხდა.

იუჟნის საფინალო გმირობა ამჯერად ნიკოლაი დავიდენკომ გაიმეორა, როცა გადამწყვეტ მატჩში რადეკ სტეპანეკს 1:6, 7:6, 6:2, 3:6, 6:0 მოუგო.

მეტრეველი აკრიტიკებს კაფელნიკოვის დამოკიდებულებას გუნდისადმი.

„მე არ ვიცი რა ხდება მის თავში — ამბობს კაცი, ვინაც 1973 წლის უიმბლდონზე საბჭოელთაგან პირველმა შეძლო რაგინდარა სლემტურნირის ფინალში გასვლა.

„ჩანს, ის თითქოს შეურაცხყოფილად მიიჩნევს თავს იმის გამო, რომ რუსეთმა დევისთასი მისი დახმარების გარეშე მოიპოვა. ის ხომ ყოველთვის მიიჩნევდა — და სამართლიანადაც — რომ გმირი მხოლოდ თავად იყო. მაგრამ ისტორიული პარიზული გამარჯვების შემდეგ მას არსად არ ახსენებდნენ და მთელი ქება-დიდება მხოლოდ იუჟნისა და საფინს ერგოთ."

„ოსტრავაში ის მოუმზადებელი ჩავიდა და გუნდის კაპიტანს ლამის ვედრება მოუხდა, ბოლო დღეს თამაშზე რომ დაეყოლიებინა" — დასძენს მეტრეველი.

„მაგრამ მისი დამოკიდებულება შეიცვალა გამარჯვების შემდეგ. უკანა გზაზე მე სხვა კაფელნიკოვი ვნახე. ის ძველებურად იღიმებოდა და არგენტინასთან მომავალ დევისშეხლაზე ლაპარაკობდა."

მეტრეველი ამბობს, რომ რუსებს ჯერ კიდევ სჭირდებათ მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე კაფელნიკოვი, თუკი სურთ, კვლავაც დარჩნენ დევისთასის ზეპურ მარაქაში.

„ის ჩვენი საუკეთესო მეწყვილეა და მასთან, ჯანმრთელ საფინსა და ჯიგრიან იუჟნისთან ერთად ჩვენი გუნდი ნებისმიერ საფარზე ძნელი დასამარცხებელი იქნება" — ამბობს იგი.

„ერთადერთი კითხვა ის არის, სურს თუ არა კაფელნიკოვს თავისი პიროვნული მეს გვერდზე გადადება და დაჰყაბულდება თუ არა ის იმას, რომ გუნდში მხოლოდ დამხმარე როლი შეასრულოს. მძიმე, ხუთსეტიანი სათიხნარო დევისბრძოლებისთვის ილაჯი მას უკვე აღარ ეყოფა."

თუმცა შამილ ტარპიშჩევი, რუსული ჩოგბურთის მბე და დევისგუნდის კაპიტანი, ამბობს, რომ არ არის დარწმუნებული იმაში, გაჰყვება თუ არა კაფელნიკოვი გუნდს არგენტინაში სათამაშოდ.

„იმედი მაქვს, აპრილამდე საფინი საუკეთესო ფორმას დაიბრუნებს — მას ხომ ძალიან სურს დაეხმაროს ნაკრებს. მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ კაფელნიკოვი — იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იმ დროისთვის საბრძოლო ფორმაში იქნება — გუნდს თან ახლდება. არგენტინელები ხომ ჩვენთან სათამაშოდ აუცილებლად თიხნარს შეარჩევენ."



ევგენი კაფელნიკოვს ეგოიზმს უკიჟინებენ

**გენადი ფიოდოროვი**

**REUTERS**

ხვალ საქართველოს ნაკრები ლისაბონში ჩაფრინდება, სადაც ზეგ პორტუგალიასთან წლევანდელი ერთა თასის პირველ მატჩს გამართავს. აგერ მეოთხე დღეა ჩვენები მონპელიეს მახლობლად, დაბა ლატიში არიან შეკრებაზე. ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი შეკრებაზე მყოფი 31 კაციდან საპორტუგალიო 22-ს შეარჩევს. იმის გასარკვევად, თუ როგორ ემზადებიან ბორჯღალოსნები, ნაკრების კაპიტან ილია ზედგინიძეს საფრანგეთში დავუკავშირდით

# ბორჯღალოსნებს ძალა მოაკლდათ, იმედი არა


ილია ზედგინიძე

— როგორც ყოველთვის, განწყობა საბრძოლოა. არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობა. ბიჭები მხიარულ გუნებაზე არიან, გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ძალა, ლევან ცაბაძე დაგვაკლდა.

**— შარშან ძალიან გაგიჭირდათ პორტუგალიის დამარცხება. მას შემდეგ ეს გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა. მისი ბოლო მატჩების ვიდეოფირები ნახეთ?**

— დიახ, ვნახეთ და ყოველ საღამოს ვატრიალებთ. პორტუგალია მართლაც განიცდის პროგრესს, ჩემი აზრით, ესპანეთზე და ჩეხეთზე გაცილებით ძლიერი გუნდია. გამორიცხული არაა, რაიმე სიურპრიზი შემოგვთავაზოს. თანაც წლეულს ეს პირველი მატჩია და ვეცდებით, ფეხი არ დაგვიცდეს. პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ გამარჯვების შანსი ჩვენ მეტი გვაქვს.

**— წლევანდელ ერთა თასს ალბათ მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენებთ და ექსპერიმენტებიც მრავლად იქნება.**

— ცხადია, ასე იქნება, ოღონდ ისე არ გაიგოთ, რომ ამ ტურნირს სერიოზულად არ მივუდგებით. ჩვენი მთავარი მიზანია, შევთამაშდეთ და რეზერვი გამოვცადოთ. გამოცდილებთან ერთად ახალბედებიც ითამაშებენ. ოღონდ ვიმეორებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთა თასის მოგებაზე ხელი ავიღეთ.

**— სორელი როდის დაასახელებს საპორტუგალიო შემადგენლობას?**

— ალბათ ხვალ საღამოს, მე ასე ვიცი.

**— ვარჯიშებში რაიმე სიახლე ხომ არაა?**

— განსაკუთრებული არაფერი, დილით მორკინალები და უკანახაზელები ცალ-ცალკე ვვარჯიშობთ. შერკინებას სორელი ავარჯიშებს, უკანა ხაზს — პატრიკ ფორი. შუადღისას ვისვენებთ, თუ ვინმეს სურვილი აქვს, ტრენაჟორი მის განკარგულებაშია, საღამოს კი მსუბუქი ვარჯიში და ორმხრივი საწვრთნელი თამაშია.

**ბაჩო სვანიძე**

# იმრავლეთ!

## გია ლაბაძეს მისალოცად და დასათხოვად აქვს საქმე


გიამ და ნინომ შარშან იქორწინეს

**საქართველოს** ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გია ლაბაძე კლოდ სორელს შეკრებიდან დაეთხოვა. ბორჯღალოსანთა მორკინალი არც ტრავმირებულია და არც რაიმე პრობლემა შექმნია. პირიქით, გიას მისალოცად აქვს საქმე — იგი მამა გახდა.

ახალშობილი გოგოა და მშობლებმა მას მედეა დაარქვეს. გიას მეუღლემ, ნინომ, ტულონში იმშობიარა. „ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, დედაც და ბავშვიც კარგად არიან, სამ-ოთხ დღეში გამოწერენ. შეიძლება პორტუგალიასთან ვერ ვითამაშო. გული ოჯახისკენ მიმიწევს. თანაც არ მინდა, ნინო და ბავშვი უცხო ქალაქში მარტო დავტოვო. ვნახოთ, ჯერ სორელს უნდა დაველაპარაკო და მერე გადაწყდება, ვითამაშებ თუ არა" — გვითხრა გია ლაბაძემ, რომელსაც ტულონში შევეხმიანეთ.

ერთი ფაქტი — გია ლაბაძემ შარშან რუსეთთან ფრედ (12:12) დასრულებული მატჩის წინ იქორწინა. ბავშვი კი პორტუგალიასთან ჯახის წინ შეეძინა.

# პორტუგალია საქართველოსთვის უკვე მზად არის

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი საპორტუგალიო შემადგენლობას ხვალ დაასახელებს. მასპინძლებმა კი ამაზე უკვე იზრუნეს და ის 23 კაცი აარჩიეს, ჩვენებს რომ დაახვედრებენ.

ვინძლო პორტუგალიელ მორაგბეთა გვარები არაფერს გეუბნებოდეთ. მაინც გეტყვით, რომ ამათში ყველაზე ცნობილები არიან ინგლისური „ბრაქნელის" მორკინალი პედრო ფონსეკა, ფრანგული „მონ დე მარსანის" უკანახაზელი ანტონიო აგილარი და ნაკრების კაპიტანი, ტანმორჩილი მე-9 ნომერი ლუიშ პისარი.

პორტუგალიელებს ხუთი დებიუტანტი ჰყავთ: ხოაკიმ ფერეირა, ბერნარდო მოტა, ჟოაო უვა, ვასკო უვა, ფრანსისკო ფონტესი. 23-კაციანი შემადგენლობა ასე გამოიყურება: *პედრო ფონსეკა (ბრაქნელი) ხოაკიმ ფერეირა, მარსელო დეორეი, ფრანცისკო ფონტესი, გონსალო მალეირო აბერტურა, ჟოაო აბრეუ ლიმა (ყველა CDUP), რუი კორდეირუ (აკადემიკა), ბერნარდო მოტა, ჟოაო კორეია, მანუელ ნუნიესი, ვასკუ უვა, მარტინ ტომე აბერტურა, ფრედერიკო სოუზა (დირეიტო), ლოურენცო ანდრადე, ჟოაო უვა, ანტონიო კუნია, დიეგო მატეუში, დავიდ მატეუში (ბელენენსეში), პაულო გონსალვეში (ბენფიკა), ლუიშ პისარო (აგრონომია), ნუნო გარვაო (კასკაისი), ანტონიო აგილარი (მონ დე მარსანი).*


ქართველები პორტუგალიელებს, ნაცნობებსაც და უცნობებსაც, მუდამ ამარცხებდნენ



# კეთროვანი

## ფრენსისს მონტგომერიც გაექცა

**მოსალოდნელი მოხდა:** ამერიკელმა სპრინტერმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა ტიმ მონტგომერიმ მწვრთნელ ჩარლი ფრენსის კონტრაქტი გაუუქმა. რამდენიმე დღის წინ იგივე გააკეთა ტიმის შეყვარებულმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერიონ ჯონსმა. წყვილის განცხადებით, მათ ეს ნაბიჯი საყოველთაო ზეწოლის გამო გადადგეს. ახლა ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან.

ჯონსსა და მონტგომერის მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) დოპინგ-ტესტის ჩაბარება მას შემდეგ მოსთხოვა, რაც სპრინტელთა წყვილმა ვარჯიში სკანდალურად ცნობილ ფრენსისთან დაიწყეს. ფრენსისი თავის დროზე კანადელ მსოფლიოს რეკორდსმენ ბენ ჯონსონს ავარჯიშებდა, რომელმაც სეულის ოლიმპიადაზე დოპინგ-ტესტი ჩააფლავა. მწვრთნელი კი გამოტყდა, ეგ ამბავი მანამდეც ვიცოდი.

IAAF-ის მოთხოვნას უპრესტიჟულესი ტურნირის „ოქროს ლიგის" ხელმძღვანელები და სპონსორებიც შეუერთდნენ. მათ არ სჯეროდათ წყვილის უცოდველობის და მწვრთნელთან მათი „სუფთა" ურთიერთობის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სპონსორებმა ჯონსა და მონტგომერის საკითხი ასე დაუსვეს — ან ჩვენ ან ფრენსისი.

„მე ტელეფონით ველაპარაკე ფრენსის და ყველაფერი ავუხსენი. ჩარლიმ გამიგო და პრეტენზიები არ გამოუთქვამს. ჩვენ საუკეთესო სურვილებით დავშორდით ერთმანეთს. საწყენია, რომ ეს სპონსორებისა და ტურნირების ორგანიზატორთა ზეწოლით მოხდა" — უთხრა სააგენტო „როიტერს" მონტგომერიმ.

პირმშვენიერი მერიონ ჯონსი და მისი ბოიფრენდი ახლა ტიმის ლოსანჯელესური ვილაში ისვენებენ და მწვრთნელთა კანდიდატურებს ახარისხებენ.

**გია ძუპარაძე**


ბენ ჯონსონისა და ჩარლი ფრენსისის თანამშრომლობა როგორ დამთავრდა, ყველამ კარგად იცის



**მსოფლიოს ჩემპიონატი სენტ მორიცი (შვეიცარია)**

# ავსტრია, აშშ!

**კარგა ხანია**, ავსტრიელები ასე არ გაწბილებულან. თითქოს თავიანთი გმირთა-გმირი ჰერმან მაიერის არყოფნა არ ეყოფოდათო, ავსტრიელებს ერთი საშინელებაც შეემთხვათ. უმაიერო სამთო სამყაროში პირველ მოთხილამურედ დარჩენილმა შტეფან ებერჰარტერმა, ბოდიშით და ჩაისვარა. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ გიგანტური სლალომის მომგებმა, ახლა სენტ მორიცში ამ დისციპლინაში სრიალი 23 (!) ადგილზე დაასრულა.

ავსტრიელები აგრეთვე ძნელად იამაყებენ გიგანტური სლალომის ვერცხლით, რომელიც მათ სანუგეშოდ მოუპოვა, აგრეთვე ჰანს კნაუსმა.

კნაუსი: — „ორი წელია ტრავმებმა გამტანჯა და ბოლო დროინდელი წარუმატებლობიდან გამომდინარე ამ მედლის მოგება უნდა მიხაროდეს, მაგრამ ეს ასე არაა."

საქმე ისაა, რომ გიგანტური სლალომის პირველი ცდის შემდეგ ის ჩათვლას ლიდერობდა, მაგრამ მეორე დაცურებაზე ასე ველარ იყოჩაღა და 0,04 წამით ჩამორჩა ამერიკელ ბოდე მილერს. 25 წლის მილერი ამ ჩემპიონატის აღმოჩენაა, მანამდე მან ოქროს მედალი მოიგო კომბინაციაში და ვერცხლი დაიკიდა სუპერ გიგანტში.


მაგრად შერცხვა შტეფან ებერჰარტერი



REUTERS გუანჭოუდან

# ბრაზილიელები ჩინეთში

ჩინეთს სწვევია მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც სწორედ რომ გუშინ ამხანაგური შეხვედრა გაუმართა მასპინძლებს გუანჟოუში. ჩინელებს ახალი მწვრთნელი, არი ჰაანი ჰყავთ, ისევე, როგორც ბრაზილიელებს კარლოს ალბერტო პარეირა. ბრაზილიელები მშვენივრადაც გაერთნენ გუანჟოუში, რასაც რობერტო კარლოსისა და რონალდინიოს სხვა სპორტებით გატაცება მოწმობს.



REUTERS გუანჭოუდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ოჯახი მუზეუმში

ლოს ანჯელესის „მიტევების მუზეუმში“ განსაკუთრებული გამოფენები იმართება ხოლმე. არის ამგვარი პროგრამაც „იპოვე შენი ოჯახი, იპოვე საკუთარი თავი“. ამჟამინდელი გამოფენის გმირები კი ესენი არიან: „ნიუ იორკ იანკიზის“ მწვრთნელი ჯო ტორე, მოცივურავე მიშელ კვანი და მუსიკოსი კარლოს სანტანა. გამოფენაზე მათი ოჯახების ისტორიაა აღწერილ-ფოტოგამოფენილი.



REUTERS ოტავადან

# პატარა სენატორები

როცა ვარჯიშია, პატარა ბიჭიც გაგიტანს. „ოტავა სენატორზის“ მეკარე პატრიკ ლალიმი პატარა ბიჭს, შონ ბენსონს ჰოკეის ფანდების ათვისებაში ეხმარება. ღია ვარჯიშს, რომელიც ვალებში ჩაფლულმა, თუმცა სასამართლოში გამარჯვებულმა „სენატორზმა“ გამართა კანადის დედაქალაქში, უამრავი პატარა ბიჭი ნახავა.



REUTERS ტორონტოდან

# პრემიერი ყინულზე

შვედეთის პრემიერმინისტრი იორან პერსონი კანადას სწვევია ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით. სადაც შვედი და კანადელი შეიყრებიან, ჰოკეის შაიბაც იქვე ჩავარდება. ჰოდა, გაუხსნია კიდეც შვედ პრემიერს „ედმონტონისა“ და „ტორონტოს“ მატჩი და ორ კაპიტანს, ედმონტონელ ჯეისონ სმიტსა (მარცხნივ) და თანამემამულე მატს სუნდინს შუა ჩაუგდია შაიბა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი,
გიორგი დარჩიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაილა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფიფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge